დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(სსიპ ჯემალ არძენაძის სახელობის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაქვის N2 საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ელენე კალანდაძე წევრები:

მაგდა მიქაბერიძე- წევრი, ხარისხი ლია ბოგვერაძე-საბუნებისმეტყველო მეცნიერებები ნინო კილაძე-საზოგადოებრივი მეცნიერებები ვარდო გოგილავა-უცხოური ენები ეთერ ქუთათელაძე-ესთეტიკური აღზრდა თინათინ მარქარაშვილი-ტექნოლოგიები მარინე ხუციშვილი -სახელმწიფო ენა ჯულიეტა ტაბეშაძე-მათემატიკა ეკატერინე კვირკველია-ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური გიორგი კოპლატაძე-სპორტი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ჯემალ არძენაძის სახელობის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაქვის N2 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	**246993883**

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქობულეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ჩაქვი
ფაქტობრივი მისამართი	ქობულეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ჩაქვი, აჭარის ქუჩა #52
საფოსტო ინდექსი	**6200**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებგვერდი	Skolebi.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელფოსტა	**Chakvi2skola@gmail.com**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	**577304187**

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2026 წლის 11 თებერვლის N 3 26 0000150842 ბრძანება
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	25-26 მარტი 2026 წელი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობანაგებობების რაოდენობის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქობულეთი, დაბა ჩაქვი, აჭარის ქუჩა #52. ერთი ორსართულიანი შენობა
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქობულეთი, დაბა ჩაქვი, აჭარის ქუჩა #52. ერთი ორსართულიანი შენობა

	ზოგადი განათლების საშუალო საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქობულეთი, დაბა ჩაქვი, აჭარის ქუჩა #52. ერთი ორსართულიანი შენობა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა მიმდინარე წლის 25-26 მარტს სსიპ ჯემალ არძენაძის სახელობის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაქვის N2 საჯარო სკოლაში განხორციელდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფის ვიზიტი. ექსპერტების ჯგუფმა ვიზიტის ეფექტიანი წარმართვისთვის შეიმუშავა დღის წესრიგი და შესამოწმებელ დოკუმენტთა სავარაუდო ნუსხა, რომელიც დაწესებულებას გადაეგზავნა ვიზიტამდე. ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვრა: ორი ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტით (ადგილზე ვიზიტი), რომელთაგან ერთი თავმჯდომარეობდა ჯგუფს და საგნობრივი ჯგუფის ექსპერტებით. დაწესებულებაში ვიზიტის დროს ექსპერტები გაესაუბრნენ სკოლის წარმომადგენელებს- სკოლის დირექტორს, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელ პირებს, საქმისმწარმოებელს, სკოლის ბიბლიოთეკარს, ექთანს და სხვა პირებს. ვიზიტი განხორციელდა პირისპირ ფორმატში, ხოლო ყველა საგნობრივ ექსპერტს ჰქონდათ შესაძლებლობა ჩაეტარებინათ ინტერვიუები მასწავლებლებთან. ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტების საქმიანობის განხორციელებას და უზრუნველყო გარკვეული მტკიცებულებების წარმოდგენა, ექსპერტების მიერ გაიცა რჩევები, წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებები გაცნობილი იქნა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის რომელიც სამუშაო პროცესში გამოიკვეთა.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების მიერ რაოდენობა ზღვრული

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება
მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 275	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
ინდიკატორი N		

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)	ხარვეზი
ინდიკატორი N		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N...		

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

ინდიკატორი N 3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (04.2026-04.2027) უზრუნველყოს სკოლის ტერიტორიის სრულად შემოსაზღვრა, რათა უზრუნველყოფილი იქნეს პერიმეტრის სათანადო კონტროლი და სასკოლო საზოგადოების ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა. სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (04.2026-04.2027) უზრუნველყოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოიპოვოს შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დამადასტურებელი შესაბამისი დასკვნა.
ინდიკატორი N 3.5.1.4	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (04.2026-04.2028) უზრუნველყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლეებისთვის
		სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (04.2026-04.2028) უზრუნველყოს ინფრასტრუქტურის სრული ადაპტაცია, მათ შორის ადაპტირებული სველი წერტილის მოწყობა და ყველა სასწავლო სივრცეზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი საბაზო და საშუალო საფეხური	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	სკოლამ შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (15.12.202515.12.2026) უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა.

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N...		
3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	სკოლას მიეცა რჩევა, უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის დასაქმება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.
3.4.1.2	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას	სკოლას მიეცა რჩევა, უზრუნველყოს სამედიცინო დოკუმენტაციის სრულყოფილი წარმოება მოქმედი მოთხოვნებისა და დადგენილი ფორმების შესაბამისად.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (სამივე საფეხური)	რჩევა

ინდიკატორი N2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	ბუნებისმეტყველება • სასურველია, კათედრამ გააგრძელოს მუშაობა კურიკულუმების სრულყოფაზე და პირველ, მეორე, მეხუთე და მეექვსე კლასებში არსებული საუკეთესო პრაქტიკა სრულად განავრცოს მე-3 და მე-4 კლასების თემატურ მატრიცებზეც. • მიზანშეწონილია, მე-3 და მე-4 კლასების კურიკულუმებში შემოქმედებითი დავალებები კიდევ უფრო მეტად დაუკავშირდეს შესაბამის სამიზნე ცნებებს, რათა შენარჩუნდეს სწავლა-განვითარების ერთიანი და უწყვეტი ჯაჭვი მთელი დაწყებითი საფეხურის განმავლობაში. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება: • VI კლასის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმის გაწერისას ყურადღება მიექცეს სამიზნე ცნებებს და ხუთივე სამიზნე ცნება იქნას დამუშავებული, რათა სრულად შეესაბამებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. ასევე უნდა იყოს ყველა კლასის კურილიმის ჩარჩოში სრულად დაფარული ყველა თემატური ბლოკები. მათემატიკა • მიზანშეწონილია IV, VI და IX კლასების კურიკულუმებში შეივსოს კონტექსტური მაგალითებისა და დავალებათა იდეების სვეტები. სასურველია, კონტექსტები ადგილობრივ

		სპეციფიკას - სოფელ ჩაქვისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის რეალობას - მოერგოს (მაგალითად:

		სანაპირო ზოლის ფართობის გაზომვა, ტურისტული ნაკადების სტატისტიკა და ა.შ.). - გარდა ამისა, საჭიროა ტექნიკური ერთიანობის უზრუნველყოფა: დაინერგოს სამივე საფეხურზე საერთო სტანდარტი კურიკულუმებში სვეტების სათაურებისთვის, ცხრილების ფორმატისთვის და ტექსტის სიდიდისთვის. ერთნაირი შაბლონი დოკუმენტს უფრო გასაგებს და გამოსაყენებელს გახდის.

ინდიკატორი N2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	ბუნებისმეტყველება • გადაიხედოს დაწყებითი საფეხურის, კერძოდ, (III -IV კლასები) კურიკულუმები და განხორციელდეს მათში მესამე თაობის ესგ-ის შესაბამისი სამიზნე ცნებების ინტეგრირება, რათა დაგეგმვა დაეყრდნოს სახელმწიფო სტანდარტს. • საბუნებისმეტყველო კათედრამ უზრუნველყოს ქიმიისა (VIII კლ.) და ფიზიკის (IX კლ.) კურიკულუმების შევსება გამოტოვებული სამიზნე ცნებებით, რაც აუცილებელია სწავლის შედეგების სრულყოფილად მისაღწევად. საზოგადოებრივი მეცნიერებები: სასურველია დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე საგნობრივ კურიკულუმებში (მე და საზოგადოება; ჩვენი საქართველო; ისტორია; გეოგრაფია; მოქალაქეობა) საკითხების, შუალედური მიზნების/შემოქმედებითი დავალებების გასწვრივ მითითებული იყოს თუ რომელი გრძელვადიანი მიზანი მუშავდება, რათა სასწავლო პროცესში ვუზრუნველყოთ სწავლის შედეგების

		მიღწევა. აღნიშნულ კურიკულუმებში მოცემულია საკითხები, შუალედური მიზნები და არ არის კონკრეტულად მითითებული თუ რომელი საკითხი, შუალედური მიზანი რომელ სამიზნე ცნებას/ცნებებს ამუშავებს. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება: VI კლასში სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში დამუშავდეს მეხუთე სამიზნე ცნება „სხვადასხვა ეპოქის/კულტურის ხელოვნების სახასიათო ნიშნების/მხატვრული მახასიათებლების“, რათა სრულად შეესაბამებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნას. ტექნოლოგიები: რჩევა: სასურველია უფრო მკაფიოდ გამოჩნდეს კავშირი საგნობრივი სტანდარტის კონკრეტულ შედეგებთან (მაგ. კ.ტ. დაწყ.1.1.)
ინდიკატორი 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	ესთეტიკური აღზრდა: კიდევ ერთხელ გადაიხედოს რესურსებისათვ განკუთვნილი გრაფ მიუთითებელი ველები ყველგან უნდა შეივსოს. ასე რეკომენდებული მოყვანილი რესურსების ვალიდურობის გადამოწმება, მ უნდა ჰქონდეთ პირდაპირი კავშირი როგორც თემასთან, ი შემოთავაზებულ დავალებებთან გარდა ამისა, ელექტრონული ბმულებ რომლებიც ამ ეტაპზე არ იხსნება გააქტიურდეს ან ჩანაცვლდეს მოქმედ ბმულებით. მათემატიკა:

, უნდ

		სასურველია რესურსების მითითების ერთიანი სტილის ჩამოყალიბებ სამივ საფეხურზე, დაკონკრეტდეს თემა-საკითხის მიხედვით (მა შესაძლოა ყველ რესურს გაუკეთდეს მსგავსი აღწერა: „ხანის აკადემი ვიდეო: URL მისამართი თემა: სამკუთხედების მსგავსება) I-IV კლასები: სასურველია ყველა რესურსი, რასაც იყენებენ თემის დამუშავების პროცესში ასახონ კურიკულუმში არსებულ სვეტში „სასწავლო რესურსები“. სასურველია დამატებითი რესურსების უფრო დეტალური და კონკრეტული ჩამონათვალის შეტანა.
ინდიკატორი N2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	ბუნებისმეტყველება: სადიაგნოსტიკო წერების ანალიზისას მასწავლებლებმა გამოიყენონ სამიზნე ცნებებთან მიმართება, რათა ნათელი გახდეს, თუ რომელ კონკრეტულ ცნებაში (მაგ. „მატერია“, „ენერგია“) სჭირდება მოსწავლეს დამატებითი მხარდაჭერა. მათემატიკა: მიზანშეწონილია სკოლამ უზრუნველყოს, რომ საგნობრივი კურიკულუმი და ინდივიდუალური სასწავლო გეგმები ერთმანეთთან შეთანხმებული იყოს და მასწავლებლებს ჰქონდეთ სხვადასხვა საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობის კონკრეტული სტრატეგიები.

ინდიკატორი N2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	ბუნებისმეტყველება: - სასურველია პირველი და მეორე კლასის განმავითარებელ რუბრიკებში თემები კიდევ უფრო მკაფიოდ დაუკავშირდეს ყველა შესაბამის სამიზნე ცნებას, რათა შეფასება გახდეს უფრო კომპლექსური და მრავალმხრივი. ასევე, მიზანშეწონილია

		შედეგების მიღწევის ინდიკატორების უფრო დეტალური ასახვა რუბრიკებში. - მეხუთე კლასის ბუნებისმეტყველების როგორც განმავითარებელ, ისე განმსაზღვრელ რუბრიკებში, სასურველია აქცენტი გადავიდეს თემებზე (ესგ-ის მიხედვით) და არა მხოლოდ სახელმძღვანელოს თავებზე, რაც შეფასების სისტემას უფრო სტანდარტიზებულს გახდის. საზოგადოებრივი მეცნიერებები: სასურველია დაწყებით საფეხურზე მე და საზოგადოებისა და „ჩვენი საქართველოს“ საგნების ფარგლებში განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შეიქმნას კონკრეტული შუალედური მიზნებისთვის/დავალებებისთვის, სადაც მკაფიოდ იქნება წარმოჩენილი თუ როგორ მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრელვადიანი მიზნები, ასევე აღინიშნება სამიზნე ცნების/ცნებების შინაარსიდან გამომდინარე თუ რა უნდა შეძლოს მოსწავლემ დავალების ფარგლებში და რაზე უნდა გაამახვილოს ყურადღება, რა რეკომენდაციები, რჩევები უნდა გაითვალისწინოს. სახელმწიფო ენა: შეხვედრის შემდგომ გამოგზავნილ რუბრიკებში ეს რჩევა მეტნაკლებად გათვალისწინებულია, კათედრამ უნდა იმუშაოს კონკრეტული დავალებების შეფასების რუბრიკების შექმნაზე. მათემატიკა:

		მიზანშეწონილია სკოლამ შეიმუშაოს შეფასების რუბრიკები სხვადასხვა კლასისა და ძირითადი თემებისთვის, განსაკუთრებით

		საბაზო და საშუალო საფეხურებზე, სადაც ამჟამად ასეთი დოკუმენტები არ წარმოუდგენიათ. ასევე სასურველია შეფასების კრიტერიუმები ყველა კლასის მოსწავლეს თემის დაწყებამდე გაეცნოს. ტექნოლოგიები: არსებული რუბრიკები საჭიროებს მეტ კონკრეტიზაციას. ესგ-ს გრძელვადიან მიზნებთან შესაბამისობისთვის, მიზანშეწონილია SOLO ტაქსონომიის ინტეგრირება შეფასების პროცესში. ეს მიდგომა უზრუნველყოფს მოსწავლის აზროვნების განვითარების დონეების იდენტიფიცირებას და ხელს შეუწყობს თითოეული მოსწავლის პროგრესზე ორიენტირებული უკუკავშირის მომზადებას

ინდიკატორი N2.2.1.1		ბუნებისმეტყველება: • სასურველია, პროექტული სწავლების ეს საუკეთესო პრაქტიკა კიდევ უფრო მჭიდროდ აისახოს საგნობრივ კურიკულუმებში (თემატურ მატრიცებში), რათა პროექტები აღქმული იყოს არა როგორც დამატებითი ღონისძიებები, არამედ როგორც სამიზნე ცნებების დამუშავების ძირითადი გზა. • მიზანშეწონილია, მონიტორინგის შედეგად გამოკვეთილი ტენდენციები (ძლიერი და სუსტი მხარეები) დეტალურად იქნას განხილული კათედრის სხდომებზე, რათა მომდევნო სასწავლო წლის დაგეგმვა კიდევ უფრო მეტად დაეფუძნოს ამ გამოცდილებას. საზოგადოებრივი მეცნიერებები: სასურველია დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრამ 2026-2027 წლის

		სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და საგნობრივი კურიკულუმების შემუშავების დროს გაითვალისწინოს მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება და ყოველწლიურად შეიმუშავოს კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია და ასახოს სავალდებულო თემების სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესება შემდეგი მიმართულებით: სავალდებულო თემის ფარგლებში ძირითადი საკითხების გამოკვეთა/ძირითადი საკითხების სხვაგვარად გადაჯგუფება; ცხოვრებისეულ კონტექსტებთან დაკავშირებული დავალებების პირობის ადაპტირება, შემოქმედებითი პროდუქტის ცვლილება; შეფასების კრიტერიუმების დახვეწა და მათთან დაკავშირებული შეკითხვების ფორმულირების შეცვლა/განსხვავებულად დაჯგუფება; აქტივობებისა და დამატებითი რესურსების ჩანიშვნა, ასახვა, რომლებზე დაყრდნობითაც ეფექტურად მოხერხდა სამიზნე ცოდნის კონსტრუირება.

ინდიკატორი N2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	ბუნებისმეტყველება: სისტემის კიდევ უფრო მეტი ვალიდურობისა და მესამე თაობის ესგსთან სრული სინქრონიზაციისთვის, სასურველია: • დაწყებითი საფეხურის ზოგიერთ კლასში (I, II, V) შეფასების რუბრიკები კიდევ უფრო მჭიდროდ დაუკავშირდეს სამიზნე ცნებებსა და შედეგების მიღწევის ინდიკატორებს, რაც სისტემას უფრო სტანდარტიზებულს გახდის. • მიზანშეწონილია რუბრიკების პერიოდული გადახედვა კურიკულუმში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, რათა
		შენარჩუნდეს მაღალი თანხვედრა დასახულ მიზნებსა და მიღწეულ შედეგებს შორის.

ინდიკატორი N2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	ბუნებისმეტყველება: • სასურველია, მათემატიკაში არსებული რემედიაციის რეფლექსიის წარმატებული პრაქტიკა სრულად განივრცოს საბუნებისმეტყველო საგნებზეც (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია). მიზანშეწონილია, ფიზიკის სადიაგნოსტიკო წერების შემდგომი რემედიაციული აქტივობები და გამოყენებული რესურსების ანალიზი ოფიციალურად აისახოს კათედრის ოქმებში. • კარგი იქნება, თუ კურიკულუმის რესურსების სვეტში მონიშნული იქნება ის დამხმარე მასალები, რომლებმაც წარმატებით გაიარეს „ვალიდაცია“ რემედიაციის პროცესში, რაც გაამარტივებს მათ გამოყენებას სხვა პედაგოგებისთვისაც.
ინდიკატორი N2.2.2.2	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	ბუნებისმეტყველება: • უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია შემუშავდეს და დამტკიცდეს ლაბორატორიაში ქცევის წესები და უსაფრთხოების დებულება, მიუხედავად იმისა, რომ სკოლას მცირე ინვენტარი აქვს. ეს განსაზღვრავს პასუხისმგებლობებსა და მუშაობის სტანდარტს. • მიზანშეწონილია სკოლამ შეიმუშაოს მინიმალური ლაბორატორიული აღჭურვილობის შეძენის გეგმა. პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს იმ ხელსაწყოებსა და

		რეაქტივებს, რომლებიც საჭიროა ესგ-ის სავალდებულო ექსპერიმენტებისთვის. ▯ სასურველია კურიკულუმში ოფიციალურად აისახოს მიკროქიმიური მეთოდის გამოყენება, რაც მცირე რესურსის პირობებშიც კი გახდის პრაქტიკულ კომპონენტს უფრო სისტემურს და უსაფრთხოს.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ინდიკატორების მიხედვით გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები და ა.შ. აღსანიშნავია, რომ რიგი ინდიკატორები, რომლებიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც - ,,არ შეესაბამება“ მესამე სტანდარტთან მიმართებით - 3.1.2(3); ექსპერტებთა ჯგუფის მხრიდან შეფასდა როგორც ,,შესაბამისი'' , ვინაიდან, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლის მიერ წარმოდგენილ იქნა დოკუმენტაცია, რომლითაც დასტურდებოდა აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნების დაკმაყოფილება. ხოლო რიგი ინდიკატორები, რომლებიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც ,,არ შეესაბამება“ მესამე სტანდარტთან მიმართებით - 3.4.1.(1); ექსპერტებთა ჯგუფის მხრიდან შეფასდა როგორც ,,მეტწილად'' შესაბამისი, ვინაიდან, სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგინდა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს ცვლილებებს

შესაბამისობის გეგმაში მითითებული ვადების (არაუმეტეს 12 თვის) ვადაში.ხოლო რიგი ინდიკატორები, რომლებიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც ,,არ შეესაბამება“ მესამე სტანდარტთან მიმართებით - 3.5.1.(4); ექსპერტებთა ჯგუფის მხრიდან შეფასდა როგორც ,,ნაწილობრივ'' შესაბამისი, ვინაიდან, სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგინდა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს ცვლილებებს შესაბამისობის გეგმაში მითითებული ვადების (არაუმეტეს 24 თვის) ვადაში.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს

სსიპ ჯემალ არძენაძის სახელობის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაქვის №2 საჯარო სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები სრულად შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს და ასახავს სკოლის საგანმანათლებლო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს. სკოლის მისია ორიენტირებულია უსაფრთხო და პოზიტიური გარემოს შექმნაზე, ხარისხიანი და მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების უზრუნველყოფაზე, რაც შეესაბამება ეროვნული მიზნების პრინციპებს – განათლების ხელმისაწვდომობას, თანასწორობასა და მოსწავლის ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობას. ხედვა ხაზს უსვამს სკოლის განვითარებას, როგორც თანამედროვე, ინოვაციური და მუდმივ პროგრესზე ორიენტირებული საგანმანათლებლო სივრცის, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას, თავისუფალი აზროვნების ჩამოყალიბებასა და კომპეტენციების განვითარებას. სკოლის მიერ განსაზღვრული ღირებულებები (პროფესიონალიზმი, თანამშრომლობა, ტოლერანტობა, ემპათია, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა და სხვ.) სრულ თანხვედრაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან და უზრუნველყოფს დემოკრატიული, სამოქალაქო და ეთიკური ღირებულებების დამკვიდრებას სასკოლო საზოგადოებაში. შესაბამისად**, 1.1.1 (1)** ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.**

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს

სკოლა თავისი მისიითა და ხედვით მკაფიოდ განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც უსაფრთხო, მხარდამჭერი და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცე. სკოლის მისია ითვალისწინებს უსაფრთხო და პოზიტიური სასკოლო გარემოს შექმნას, სადაც დაცულია თითოეული მოსწავლის ფიზიკური და ფსიქოემოციური კეთილდღეობა. სწავლა-სწავლების პროცესი ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე, რაც უზრუნველყოფს მის პიროვნულ, ინტელექტუალურ და სოციალურ განვითარებას. სკოლის ხედვა ასახავს დაწესებულების მისწრაფებას ჩამოყალიბდეს ისეთი საგანმანათლებლო სივრცედ, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა თავისუფალ აზროვნებას, თვითრეალიზაციასა და აქტიურ ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში.სკოლის ღირებულებები (ურთიერთპატივისცემა, თანამშრომლობა, ტოლერანტობა, ემპათია და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა) განსაზღვრავს სასკოლო კულტურას და ხელს უწყობს ინკლუზიური, თანასწორი და მხარდამჭერი გარემოს ჩამოყალიბებას. ამგვარად, სკოლა ფუნქციონირებს არა მხოლოდ როგორც საგანმანათლებლო დაწესებულება, არამედ როგორც სოციო-კულტურული სივრცე, სადაც უზრუნველყოფილია უსაფრთხოება, თანამშრომლობა და თითოეული მოსწავლის განვითარების ხელშეწყობა.შესაბამისად**, 1.1.1 (2)** ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.**

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ფართო ჩართულობით, რაც უზრუნველყოფს მათი მხრიდან გაზიარებულ პასუხისმგებლობას. მისიის, ხედვისა და ღირებულებების ჩამოყალიბების პროცესში მონაწილეობდნენ სკოლის ადმინისტრაცია, პედაგოგები, მოსწავლეები და მშობლები. ჩართულობა განხორციელდა სხვადასხვა ფორმით: სამუშაო შეხვედრები, ჯგუფური განხილვები, გამოკითხვები და უკუკავშირის შეგროვება. სკოლის ადმინისტრაციამ უზრუნველყო პროცესის კოორდინაცია და მიღებული მოსაზრებების ანალიზი, რის საფუძველზეც ჩამოყალიბდა შეთანხმებული და ერთიანი ხედვა. შესაბამისად**, 1.1.1 (3)** ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.**

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაცნობილი იქნა სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის სამუშაო შეხვედრების, მშობელთა კრებებისა და დირექტორის მიერ განხორციელებული განმარტებითი შეხვედრების ფარგლებში. აღნიშნული პროცესის მიმდინარეობისას სასკოლო საზოგადოების წევრებს (პედაგოგებს, მშობლებსა და მოსწავლეებს) მიეცათ

შესაძლებლობა გამოეთქვათ საკუთარი მოსაზრებები და მონაწილეობა მიეღოთ სკოლის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრაში. მოსაზრებების სისტემატიზაციის მიზნით განხორციელდა წერილობითი უკუკავშირის შეგროვება, რომლის ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბდა შეთანხმებული ხედვა სკოლის მისიისა და ღირებულებების შესახებ. აღნიშნული პროცესის საბოლოო შედეგად შემუშავდა სკოლის ფილოსოფიის პროექტი, რომელიც ასახავს სასკოლო საზოგადოების საერთო ხედვას, ღირებულებებსა და პრიორიტეტებს და წარმოადგენს სკოლის განვითარების საფუძველს.შესაბამისად**, 1.1.1(4)** ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.**

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლაში ვიზუალური დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ სკოლის მოქმედი მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია საინფორმაციო დაფაზე, თვალსაჩინო ადგილზე, რომელთანაც წვდომა აქვს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს.ამასთანავე, აღნიშნული ინფორმაცია გამოქვეყნებულია სკოლის ოფიციალურ ვებგვერდზე, რაც უზრუნველყოფს მის ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობას.აღნიშნულიდან გამომდინარე, დასტურდება, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდ ხელმისაწვდომია. შესაბამისად**, 1.1.1 (5)** ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.**

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს, კერძოდ, საჯარო რეესტრის ამონაწერიდან დგინდება, რომ სკოლის სახელწოდებაა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სსიპ ჯემალ არძენაძის სახელობის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაქვის №2 საჯარო სკოლა, რაც გამომდინარეობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებიდან ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ''. ვინაიდან სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს, **1.1.1 (6)** ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების
მტკიცებულებები.

1. სტრატეგიული განვითარების გეგმა;
2. მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
3. საჯარო რეესტრის ამონაწერი. შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს

სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომლის მიზანია აღწეროს სკოლის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების მიდგომები, მოთხოვნები და სამუშაო პროცესები. აღნიშნული მეთოდოლოგიის თანახმად, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის დასრულების შედეგად უნდა შემუშავდეს 7-წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

მეთოდოლოგია ეფუძნება გუნდური მუშაობის, თანამონაწილეობის, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის პრინციპებს. ასევე განსაზღვრულია სტრატეგიულ დაგეგმვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები და პირები. კერძოდ, სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო პროცესის წარმართვაზე პასუხისმგებელია სკოლის დირექტორის მოადგილე, ხოლო პროცესის ადმინისტრირებას ახორციელებს სკოლის დირექტორი, რომელიც უზრუნველყოფს კომუნიკაციას სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან, მათ წვდომას საჭირო ინფორმაციაზე, სამუშაო შეხვედრების ორგანიზებასა და პროცესის ეფექტიან მხარდაჭერას.

სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის წარმართვის მიზნით, დირექტორი ქმნის სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფს, რომელიც პასუხისმგებელია სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების პროექტების შემუშავებაზე, სასკოლო საზოგადოების ფართო ჩართულობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის გაზიარებაზე. სკოლამ ასევე წარმოადგინა დირექტორის ბრძანება, რომლის საფუძველზეც შეიქმნა სამუშაო ჯგუფი მისიისა და სტრატეგიული გეგმის შემუშავების მიზნით, აგრეთვე წარმოდგენილია სამუშაო ჯგუფის სხდომების ოქმები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დადგინდა, რომ სკოლას გააჩნია სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს. ამასთანავე, მეთოდოლოგიით განსაზღვრული მიდგომები პრაქტიკაში დანერგილია და რეალურად გამოიყენება სკოლის მიერ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესში. შესაბამისად**, 1.2.1 (1)** ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.**

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა, რომელიც გაწერილია 2023–2030 წლებზე. აღნიშნული გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და განსაზღვრავს დაწესებულების განვითარების გრძელვადიან ხედვასა და პრიორიტეტებს. სტრატეგიული გეგმა მიზნად ისახავს სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებას, ადამიანური რესურსის განვითარებას, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას, სასკოლო საზოგადოების ჩართულობის გაძლიერებას, მოსწავლეთა მხარდაჭერის სისტემის განვითარებას, ორგანიზაციულ სრულყოფასა და უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს შექმნას.

   დოკუმენტში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნები, შესაბამისი ამოცანები და მათი განხორციელების გზები, რაც უზრუნველყოფს დაგეგმილი საქმიანობების თანმიმდევრულ და ეფექტიან განხორციელებას. ამასთანავე, სტრატეგიული

გეგმა მოიცავს შიდა და გარე გარემოს ანალიზს (SWOT), სკოლის მიზნებს, სტრატეგიულ მიმართულებებსა და კონკრეტულ აქტივობებს განსაზღვრული ვადებით, რაც ადასტურებს მისი დაგეგმვის სისტემურობას, თანმიმდევრულობასა და შედეგზე ორიენტირებულობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დადგინდა, რომ სკოლას აქვს მისიის საფუძველზე შემუშავებული გრძელვადიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც ასახავს განვითარების ძირითად მიმართულებებს, შესაბამის ამოცანებსა და მათი განხორციელების მექანიზმებს.

აღსანიშნავია ,რომ სტრატეგიული განვითარების გეგმის დამტკიცება კანონმდებლობით გათვალისწინებულია სამეურვეო საბჭოს მიერ, თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტი დამტკიცებული იყო სკოლის დირექტორის ბრძანებით, რაც წარმოადგენს დადგენილი პროცედურის დარღვევას. აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რის საფუძველზეც კოლის მიერ მოწვეულ იქნა სამეურვეო საბჭოს სხდომა და უზრუნველყოფილ იქნა დოკუმენტის დამტკიცება უფლებამოსილი ორგანოს მიერ.შესაბამისად, 1.2.1 (2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას

დაწესებულებას დამტკიცებული აქვს ერთ წლიანი სამოქმედო გეგმა, სტრატეგიულ გეგმაზე დაყრდნობით, რომელიც გათვლილია ერთ სასწავლო წელზე. სამოქმედო გეგმის შედგენისას სკოლა ითვალისწინებს სტრტეგიულ მიზნებს და ამოცანებს, ეყრდნობა განვლილი სასწავლო წლის ანალიზს. სასწავლო წლის განმავლობაში ხდება გეგმის მიმდინარე რევიზია და შეფასება. ასევე ხდება შესრულებული აქტივობების ხარისხის ანალიზი. აღსანიშნავია, რომ სამოქმედო გეგმის დამტკიცება კანონმდებლობით გათვალისწინებულია სამეურვეო საბჭოს მიერ, თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტი დამტკიცებული იყო სკოლის დირექტორის ბრძანებით, რაც წარმოადგენს დადგენილი პროცედურის დარღვევას. აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რის საფუძველზეც სკოლის მიერ მოწვეულ იქნა სამეურვეო საბჭოს სხდომა და უზრუნველყოფილ იქნა დოკუმენტის დამტკიცება უფლებამოსილი ორგანოს მიერ.

1.2.1 (3) ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული**.**

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

   სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. დაგეგმილი აქტივობები თანხვედრაშია სკოლის სტრატეგიულ მიმართულებებთან და უზრუნველყოფს მიზნებისა და ამოცანების ეტაპობრივ და ეფექტიან განხორციელებას. თითოეული აქტივობისთვის განსაზღვრულია შესრულების ინდიკატორები/მტკიცებულებები (მაგ.: ოქმები, ანგარიშები, დოკუმენტაცია), რაც იძლევა პროგრესის შეფასებისა და მონიტორინგის შესაძლებლობას. ამასთანავე, სამოქმედო გეგმაში გაწერილია კონკრეტული პასუხისმგებელი პირები და სტრუქტურული ერთეულები, შესრულების პერიოდები (თვეების მიხედვით განაწილებით) და საჭირო რესურსები (ადამიანური, მატერიალური, ფინანსური),რაც ზრდის დაგეგმილი აქტივობების განხორციელების შესაძლებლობასა და შედეგიანობას.**1.2.1 (4)** ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული**.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების
მტკიცებულებები.

1. სამოქმედო გეგმა;

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. მეთოდოლოგიის დოკუმენტის თანახმად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, სასკოლო საზოგადოებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით. დოკუმენტში განსაზღვრულია სამოქმედო გეგმის მონიტორინგის განხორციელების პროცედურები, რომლის მიხედვით მონიტორინგი ტარდება წელიწადში ერთხელ, სასწავლო წლის ბოლოს (ივნისში), რაც უზრუნველყოფს დაგეგმილი აქტივობების შესრულების შეფასებასა და შემდგომი დაგეგმვის პროცესში შედეგების გამოყენებას.ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დადგინდა, რომ სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. შესაბამისად**, 1.2.2 (1)** ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.**

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით

დაწესებულების მიერ შემუშავებული სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიის თანახმად, სკოლა ახორციელებს ერთწლიანი სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას წელიწადში ერთხელ ივნისში, რომლის შედეგების საფუძველზეც იგეგმება მომდევნო პერიოდის სამუშაო გეგმის კორექტირება, თუ გამოიკვეთა ამის საჭიროება, სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგიც. აღნიშნულ პროცესს კოორდინაციას უწევს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე, რომელიც დეტალურად გადის სამოქმედო გეგმას და, შესაბამისი პირების ჩართულობით, თითოეულ აქტივობას ანიჭებს სტატუსს: „შესრულდა“, „ნაწილობრივ შესრულდა“. **1.2.2 (2)** ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული**;**

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა

სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები ქვეყნდება სკოლის ვებგვერდზე, რაც უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობის გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას.სასკოლო საზოგადოებასა და სხვა დაინტერესებულ პირებს აქვთ შესაძლებლობა მიიღონ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ ახორციელებს სკოლა დეკლარირებული მიზნების მიღწევის შეფასებას, როგორ

ხდება გამოწვევების იდენტიფიცირება და რა სტრატეგიები ისახება მათ დასაძლევად.აღნიშნული პრაქტიკა ხელს უწყობს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, სასკოლო საზოგადოების ჩართულობასა და უკუკავშირის მიღებას, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს სკოლის განვითარების პროცესის ეფექტიან მართვას.შესაბამისად**, 1.2.2 (3)** ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.**

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის

სკოლას აქვს მზაობა სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების გამოყენებისათვის შემდგომი განვითარების დაგეგმვისა და მართვის პროცესში. მიღებული შედეგები სისტემურად გაანალიზდება და გამოყენებული იქნება მომდევნო პერიოდის გეგმების დახვეწისა და გაუმჯობესებისთვის. შეფასების შედეგების საფუძველზე სკოლა მოახდენს პრიორიტეტების გადახედვას, საჭიროებების იდენტიფიცირებას და შესაბამისი ცვლილებების დანერგვას, რაც უზრუნველყოფს განვითარების პროცესის უწყვეტობასა და შედეგზე ორიენტირებულობას. შესაბამისად**, 1.2.2 (4)** ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების
მტკიცებულებები.

1. სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგია.
2. ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ანგარიში
3. კითხვარები (მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი);
4. სამეურვეო საბჭოს ოქმი;
5. პედაგოგიური საბჭო სხდომის ოქმი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა
3.1. პერსონალის მართვა
3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული

სკოლის საშტატო განრიგით გათვალისწინებულია შემდეგი თანამდებობები: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, საქმისმწარმოებელი, ბუღალტერი, ბიბლიოთეკარი, ექთანი, მასწავლებელი/სპეციალური მასწავლებელი, დარაჯი, დამლაგებელი და მტუკი. აღნიშნული თანამდებობების ფუნქციები განსაზღვრულია შესაბამის თანამდებობრივ ინსტრუქციებსა და თითოეულ თანამშრომელთან ინდივიდუალურად გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში. შრომითი ხელშეკრულებებითა და თანამდებობრივი ინსტრუქციებით განსაზღვრული ფუნქციები ურთიერთთანხვედრაშია. ამასთან, მასწავლებელთა შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებულია მათი შესაბამისი სტატუსის მიხედვით და სრულად ითვალისწინებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ მოთხოვნებს. სკოლის მიერ წარმოდგენილია გრაფიკული სტრუქტურა, რომლის მიხედვითაც სკოლაში სტრუქტურული ერთეულების სახით ფუნქციონირებს: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, 6 საგნობრივი ჯგუფის

კათედრა და მოსწავლეთა თვითმმართველობა. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სტრუქტურული ერთეულები თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისი მუხლებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში, ასევე თანამდებობრივი ინსტრუქციებითა და შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით დაკისრებული ფუნქციების შესაბამისად. მრჩეველთა საბჭო საქმიანობას წარმართავს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ შესაბამისად. იგი განიხილავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს, შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს და წარუდგენს სკოლის დირექტორს შემდგომი რეაგირების მიზნით. სასკოლო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად ასევე დადგინდა, რომ მოსწავლეთა თვითმმართველობა საქმიანობას ახორციელებს მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულებისა და თვითმმართველობის ქცევის კოდექსის საფუძველზე. სტრუქტურული ერთეულების სხდომების ოქმებით დასტურდება, რომ კოლეგიური ორგანოები სასწავლო წლის დასაწყისში შეიმუშავებენ სამუშაო გეგმებს და წლის განმავლობაში საქმიანობას წარმართავენ აღნიშნული გეგმების შესაბამისად; საჭიროებისამებრ იკრიბებიან და განიხილავენ როგორც წინასწარ დაგეგმილ, ისე რიგგარეშე საკითხებს. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განმარტებების საფუძველზე დასტურდება, რომ სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულებისა და თანამდებობის პირთა ფუნქციები მკაფიოდ არის განსაზღვრული. შესაბამისად**, 3.1.1(1)** ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.**

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას

სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებისა და სტრუქტურული ერთეულების სხდომების ოქმების შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ აღნიშნული ერთეულები საქმიანობას ახორციელებენ წინასწარ განსაზღვრული სამუშაო გეგმების შესაბამისად. წარმოდგენილი ფუნქციების განაწილების დოკუმენტი მკაფიოდ განსაზღვრავს პასუხისმგებლობათა გადანაწილებას, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ეფექტიან და კოორდინირებულ განხორციელებას.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და თანამშრომლებთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ სტრუქტურულ ერთეულებსა და შესაბამის თანამდებობის პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების მკაფიო

განაწილება უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის ორგანიზებულად წარმართვას. შესაბამისად, 3.1.1(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების
მტკიცებულებები.

1. თანამდებობრივი ინსტრუქციები;
2. სტრუქტურა;
3. შრომითი ხელშეკრულებები;
4. სტრუქტურული ერთეულების ოქმები და სამოქმედო გეგმები;

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად სკოლის მიერ წარმოდგენილი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის თანახმადაც ადამიანური რესურსების მართვის მიზანია პერსონალის მართვის პროცესების ორგანიზება ეფექტიანად, მოქმედ კანონმდებლობასთან, სკოლის მისიასა და ხედვასთან შესაბამისობაში. ასევე გათვალისწინებულია ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც ხელს უწყობს დასაქმებულთა პროფესიული შესაძლებლობების გამოვლენასა და განვითარებას. სკოლის განმარტებებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ პერსონალის მართვა ხორციელდება საქართველოს შრომის კოდექსის, „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“, სკოლის შიდა რეგულაციებისა და სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული შინაგანაწესის საფუძველზე. სკოლის მიერ ჩატარებული კონკურსების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვის შედეგად დადგინდა, რომ ახალი მასწავლებლების შერჩევა ხორციელდება კონკურსის გზით, ვაკანსიების teacherjobs.ge პლატფორმაზე გამოქვეყნების საშუალებით. წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ კონკურსის პროცედურები, მათ შორის

საკონკურსო კომისიის დაკომპლექტება, ზოგადად შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ სკოლაში დანერგილია ადამიანური რესურსების მართვის ძირითადი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს პერსონალის მართვის პროცესების განხორციელებას, შესაბამისად, 3.1.2(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში მასწავლებლის ან ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის ვაკანტური პოზიციების არსებობის შემთხვევაში, კვალიფიციური კადრის შესარჩევად ცხადდება კონკურსი. აღნიშნული პროცესი ხორციელდება „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ შესაბამისად. ვაკანსიების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, თავსდება teacherjobs.ge პლატფორმაზე. სკოლის დირექტორთან გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ დასაქმებულის დროებითი არყოფნის შემთხვევაში სკოლა უზრუნველყოფს ფუნქციების გადანაწილებას სხვა თანამშრომლებზე. კერძოდ, მასწავლებლის არყოფნისას სასწავლო საათები ნაწილდება შესაბამისი საგნობრივი ჯგუფის სხვა მასწავლებლებზე, ხოლო გადანაწილების შეუძლებლობის შემთხვევაში ფორმდება ხელშეკრულება შემცვლელ მასწავლებელთან. სკოლის შინაგანაწესით რეგულირებულია შრომითი ურთიერთობების ძირითადი საკითხები, მათ შორის: სამუშაო დროისა და დასვენების რეჟიმი, შრომითი ურთიერთობის წარმოშობა და პირობები, შვებულების მიცემის წესი, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა და საბოლოო ანგარიშსწორება, დასაქმებულთა წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმები, ასევე განცხადებებისა და საჩივრების განხილვის პროცედურები.

წარმოდგენილი ინფორმაციისა და განმარტებების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში დანერგილია პერსონალის მართვის პრაქტიკა, რომელიც ითვალისწინებს როგორც საჭიროებებზე რეაგირებას (ინტერვენციას), ასევე გარკვეულ პრევენციულ მექანიზმებს, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობას. შესაბამისად**, 3.1.2(2)** ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.**

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით განსაზღვრულია მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. სკოლის დირექტორთან გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ აღნიშნული მოთხოვნების განსაზღვრისას სკოლა ხელმძღვანელობს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ მოთხოვნებით.

სკოლის საკონკურსო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მასწავლებლის ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსი ტარდება გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით. კერძოდ, სკოლის დირექტორის ბრძანებით განისაზღვრება შესაბამისი ვაკანტური პოზიციის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და საკონკურსო პირობები, რომლებიც საჯაროდ ქვეყნდება teacherjobs.ge პლატფორმაზე. დირექტორის ბრძანებით ასევე იქმნება საკონკურსო კომისია, რომლის შემადგენლობა, წარმოდგენილი მასალების მიხედვით, ზოგადად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

რაც შეეხება სხვა პერსონალს, მათი შერჩევა შესაძლებელია როგორც კონკურსის წესით, ასევე დირექტორის მიერ კანდიდატთან გასაუბრების საფუძველზე. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სტრუქტურული ერთეულებისა და თანამდებობის პირთა ფუნქციები, რომელშიც განსაზღვრულია შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნებიც.ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ სკოლაში პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები ძირითადად უზრუნველყოფს შესაბამისი კადრების მოზიდვასა და შერჩევას ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით.

პერსონალის პირადი საქმეების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ყველა მასწავლებლის შემთხვევაში წარმოდგენილია ნასამართლეობის შესახებ ცნობა, ხოლო 2020 წლის 1 ივნისის შემდეგ დასაქმებული თანამშრომლების შემთხვევაში დამატებით წარმოსადგენია ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის და შესაბამისი უფლების ჩამორთმევის შესახებ.აღნიშნული გარემოება მიუთითებს, რომ სკოლის მიერ პერსონალის შერჩევისა და დასაქმების პროცესში კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები სრულად არ არის უზრუნველყოფილი. სკოლამ შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოადგინა **2020** წლის **1** ივნისის შემდეგ დასაქმებული თანამშრომლებისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული ცნობები სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის და შესაბამისი უფლების ჩამორთმევის შესახებ**.** აღნიშნულის გათვალისწინებით**,** ინდიკატორი**,** რომელიც

თავდაპირველად შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „შეესაბამება“.შესაბამისად, **3.1.2(3)** ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს

სკოლაში დასაქმებული მასწავლებლები ფლობენ შესაბამის პროფესიულ სტატუსს, გარდა ერთი მოწვეული მასწავლებლისა. პერსონალის პირადი საქმეების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები შეესაბამება სკოლის მიერ დადგენილ მოთხოვნებსა და მოქმედ კანონმდებლობას. აგრეთვე სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო მომსახურების კაბინეტი. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით დადგინდა, რომ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმის შერჩევა კონკურსის გზით ვერ განხორციელდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლამ მოიპოვა სამინისტროს თანხმობა და სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად დაასაქმა ექთანი, რომელიც ახორციელებს მოსწავლეთა ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ სკოლაში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაცია ძირითადად შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს, ხოლო სამედიცინო მომსახურება უზრუნველყოფილია არსებული რესურსების ფარგლებში. შესაბამისად, **3.1.2(4)** ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრუქტურული ერთეულების სხდომების ოქმების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ სკოლაში მოქმედი სამუშაო ჯგუფები და სტრუქტურული ერთეულები საქმიანობას წარმართავენ გუნდური მუშაობის პრინციპით. ისინი რეგულარულად იკრიბებიან სხდომებზე და გადაწყვეტილებებს იღებენ ოქმების სახით დაფიქსირებით. საგნობრივი კათედრების საქმიანობის ანალიზით დგინდება, რომ მათი წევრები ჩართულნი არიან კურიკულუმების დაგეგმვის პროცესში, თანამშრომლობენ ერთმანეთთან, აზიარებენ პროფესიულ გამოცდილებას და ერთობლივად გეგმავენ საგანმანათლებლო აქტივობებსა და პროექტებს. კათედრებს შორის ასევე ფიქსირდება თანამშრომლობის პრაქტიკა ერთობლივი პროექტების დაგეგმვის მიმართულებით. სკოლის პედაგოგიურ და სამეურვეო საბჭოებს, საგნობრივ კათედრებსა და მრჩეველთა

საბჭოს სასწავლო წლის დასაწყისში განსაზღვრული აქვთ სამუშაო გეგმები, რომელთა შესაბამისადაც ახორციელებენ საქმიანობას და განიხილავენ როგორც დაგეგმილ, ისე საჭიროებისამებრ სხვა საკითხებს. გადაწყვეტილებების მიღება ხდება კენჭისყრის საფუძველზე. სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებაში ჩართულნი არიან როგორც პედაგოგები, ასევე სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები. მოსწავლეთა თვითმმართველობის საქმიანობის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ შესაბამისი საფეხურის მოსწავლეები ერთიანდებიან და მონაწილეობით იღებენ გადაწყვეტილებებს, მათ შორის თავმჯდომარის არჩევის, აქტივობების დაგეგმვის, თვითმმართველობის ქცევის წესის შემუშავებისა და დისციპლინურ კომიტეტში წარმომადგენლის არჩევის პროცესში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ სკოლის ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობით და გუნდურ მუშაობას. შესაბამისად**, 3.1.2(5)** ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.**

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

სკოლის მასწავლებლებთან და დირექციასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში ხორციელდება წარმატებული პრაქტიკის გაზიარება და გარკვეულწილად მისი აღიარება. სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კათედრების დებულებით განსაზღვრულია პედაგოგთა შორის თანამშრომლობისა და გამოცდილების გაზიარების მექანიზმები. კერძოდ, პედაგოგები ურთიერთობენ როგორც სკოლის შიგნით, ასევე თანამშრომლობენ სხვა სკოლების წარმომადგენლებთან, აზიარებენ პროფესიულ გამოცდილებას, გეგმავენ და ახორციელებენ ურთიერთდასწრებებს , პროექტ-გაკვეთილებს, ინტეგრირებულ გაკვეთილებს, ასევე მონაწილეობენ შეფასების კრიტერიუმებისა და რუბრიკების შემუშავებაში. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია თანამშრომელთა წახალისების ფორმები, რომლებიც გამოიყენება პროფესიული საქმიანობისა და მიღწევების აღიარების მიზნით. აღნიშნული ფორმებია: მადლობის გამოცხადება, სიგელით ან ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება, ერთჯერადი ფულადი პრემიის გაცემა, ასევე დისციპლინარული სახდელის ვადაზე ადრე მოხსნა. წახალისება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც პროფესიული საქმიანობის მაღალი ხარისხით შესრულების, ასევე განსაკუთრებული მიღწევების, ინიციატივების და ხანგრძლივი კეთილსინდისიერი მუშაობის შემთხვევაში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ სკოლაში დანერგილია გამოცდილების გაზიარებისა და თანამშრომელთა წახალისების პრაქტიკა, თუმცა მისი გამოყენება მეტწილად დამოკიდებულია შიდა ინიციატივებზე და ნაკლებად არის ფორმალიზებული ერთიანი სისტემის სახით. შესაბამისად**, 3.1.2(6)** ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების
მტკიცებულებები.

1. მასწავლებლის ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ოქმი
2. სკოლის შინაგანაწესი;
3. ღია კონკურსის ჩატარების მასალები;
4. სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების დამტკიცების ბრძანება
5. შრომითი ხელშეკრულებები;
6. სტრუქტურული ერთეულების ოქმები;

შეფასება:
○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება
3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები

სკოლას წარმოდგენილი აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც მოიცავს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმებს. აღნიშნული მექანიზმები მიზნად ისახავს თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობას. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პერსონალის შეფასებისა და საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით სკოლაში გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი, მათ შორის: საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება, სამუშაო შეხვედრების ორგანიზება, გამოკითხვების ჩატარება, ინდივიდუალური გასაუბრებები, თვითშეფასება და ურთიერთშეფასება. აღნიშნული პრაქტიკა საშუალებას იძლევა გამოვლინდეს პროფესიული განვითარების საჭიროებები, რომელთა შესაბამისადაც იგეგმება განმავითარებელი აქტივობები. სკოლაში ხორციელდება თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების ხელშემწყობი ღონისძიებები, მათ შორის კონსულტაციები, სადისკუსიო შეხვედრები, კოლეგიური ურთიერთდასწრება და პროფესიული გამოცდილების გაზიარება. საგნობრივი კათედრების ფარგლებში მასწავლებლები ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს და უზრუნველყოფენ უკუკავშირის მიწოდებას როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი ფორმით. ასევე, სამუშაო შეხვედრების ფარგლებში ხდება საქმიანობის შეფასება და რეკომენდაციების გაზიარება.ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ სკოლაში დანერგილია პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის ძირითადი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს თანამშრომელთა პროფესიული განვითარების მხარდაჭერას. შესაბამისად**, 3.2.1 (1)** ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.**

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად

ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავრორიზაციას 3.2.1 (2) ინდიკატორი ვერ შეფასდება.

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას

პერსონალის მართვის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტის თანახმად, პერსონალის მიზნობრივი პროფესიული განვითარების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში სკოლა თანამშრომლებს სთავაზობს პროფესიული განვითარების

მრავალფეროვან მეთოდებს, როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე გარე რესურსების გამოყენებით. პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები წახალისებულია დაწესებულების მიერ და შესაძლოა გამომდინარეობდეს როგორც საჭიროებების კვლევის შედეგებიდან, ასევე თავად თანამშრომელთა ინიციატივებიდან. ამასთან, სკოლას მიეცა რჩევა, რომ მომავალი წლის სამოქმედო გეგმაში უფრო მკაფიოდ და კონკრეტულად ასახოს პერსონალის კარიერული ზრდის ხელშემწყობი ამოცანებისა და აქტივობების კავშირი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ სკოლაში დანერგილია პერსონალის პროფესიული განვითარების დაგეგმვის ძირითადი მექანიზმები. შესაბამისად**, 3.2.1(3)** ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.**

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი ითვალისწინებს ახალი თანამშრომლის სოციალიზაციისა და ადაპტაციის მექანიზმებს, რაც მიზნად ისახავს შერჩეული პირის პროფესიული შესაძლებლობების სრულად გამოვლენასა და სამუშაო გარემოსთან ეფექტიან ინტეგრაციას. დირექტორთან გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ ახალი მასწავლებლის წარდგენა ხდება შესაბამის საგნობრივ კათედრაზე, ხოლო სხვა პერსონალის — შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში. აღნიშნული პროცესის ფარგლებში ახალ თანამშრომელს აცნობენ სკოლის მუშაობის სპეციფიკას, დაკავებული პოზიციის ფუნქციებს, ასევე სკოლაში დამკვიდრებულ წესებსა და მიდგომებს.საქმისმწარმოებლისა და კათედრის თავმჯდომარის ჩართულობით ხდება ახალი თანამშრომლის ინტეგრაცია შიდა საკომუნიკაციო სივრცეში (მათ შორის, დახურულ სოციალურ ჯგუფებში). ასევე, ახალ თანამშრომელს გასაცნობად გადაეცემა სკოლის შინაგანაწესი. სკოლის დირექტორის განმარტებით, დაწესებულება არსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსის ფარგლებში ხელს უწყობს ახალი თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან ადაპტაციას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ სკოლაში არსებობს ახალი თანამშრომლის ინტეგრაციის პრაქტიკა, რომელიც უზრუნველყოფს მის ჩართვას სამუშაო პროცესში. შესაბამისად**, 3.2.1(4)** ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.**

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

სკოლის მიერ წარმოდგენილი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის თანახმად, დაწესებულებაში წახალისებულია პერსონალის პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. აღნიშნული ინიციატივები შესაძლოა გამოვლინდეს როგორც პერსონალის საჭიროებების კვლევის შედეგად, ასევე თავად თანამშრომელთა მხრიდან, მათ შორის

ზეპირი ფორმით.პერსონალის განვითარების ინიციატივების დაფიქსირებისა და წახალისების მექანიზმებად განსაზღვრულია სხვადასხვა ფორმა, მათ შორის: სიგელით დაჯილდოება, ფულადი წახალისება და ფასიანი საჩუქრების გადაცემა.სკოლის მიერ დანერგილი წახალისების სისტემა ხელს უწყობს თანამშრომელთა მოტივაციის ამაღლებას, ინიციატივების გამოვლენასა და პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული გარემოს ჩამოყალიბებას.სკოლის დირექციასა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მასწავლებლებს აქვთ შესაძლებლობა დააფიქსირონ საკუთარი პროფესიული განვითარების საჭიროებები და მიიღონ შესაბამისი მხარდაჭერა. მასწავლებლებმა ასევე აღნიშნეს, რომ გრძნობენ ადმინისტრაციის მხრიდან მხარდაჭერას პროფესიული განვითარების პროცესში.ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ სკოლაში დანერგილია პერსონალის განვითარების ინიციატივების მხარდაჭერის პრაქტიკა.შესაბამისად, 3.2.1(5) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების
მტკიცებულებები.

1. ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს

სკოლამ ვიზიტის ფარგლებში წარმოადგინა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც მოიცავს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასთან, განხორციელებასა და შეფასებასთან დაკავშირებულ ძირითად აქტივობებს.დოკუმენტის მიხედვით, სკოლაში პროცესები კლასიფიცირებულია მმართველობით, ძირითად და დამხმარე პროცესებად, რაც უზრუნველყოფს საქმიანობის სტრუქტურირებულ და თანმიმდევრულ მართვას.ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები მოიცავს ისეთ ქვეპროცესებს, როგორიცაა რისკების იდენტიფიცირება და შეფასება, მონიტორინგისა და შემოწმების განხორციელება, დასკვნების ფორმირება და შესაბამისი უკუკავშირის მიწოდება.წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში განსაზღვრულია ხარისხის უზრუნველყოფის ძირითადი მექანიზმები, თუმცა მათი პრაქტიკაში განხორციელების სისტემურობა საჭიროებს შემდგომ განვითარებას. შესაბამისად**, 3.3.1(1)** ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.**

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები

სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის მიერ წარმოდგენილ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლას განსაზღვრული აქვს აღნიშნული პროცესები და შემუშავებული რეგულაციები მოიცავს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ფუნქციონირებისთვის აუცილებელ ასპექტებს. შესაბამისად**, 3.3.1(2)** ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.**

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა

სკოლამ წარმოადგინა მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი, რომლის თანახმადაც მოსწავლეებისათვის მათი უფლებებისა და სკოლის მიერ დადგენილი წესების გაცნობას თითოეული კლასის დამრიგებელი ახორციელებს მათი ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. ეს შესაძლებელია განხორციელდეს ვიზუალიზაციით, სახელოვნებო/შემოქმედებითი მიდგომების გამოყენებით. დაუშვებელია მოსწავლისათვის უფლებებისა და წესების გაცნობა დოკუმენტზე ხელმოწერით, მოსწავლეში შიშის გრძნობის გაღვიძება, დასჯის შიშის შექმნა და სხვა. თითოეული მოსწავლის მეურვესთან სკოლა აფორმებს ხელშეკრულებას, სადაც დეტალურადაა გაწერილი მხარეთა უფლებამოვალეობები. აღნიშნული დოკუმენტი აგრეთვე ითვალისწინებს სკოლაში მოსწავლის ან მოსწავლის მეურვის, პერსონალის მიერ გადაწყვეტილების გასაჩივრების პროცედურას. ვინაიდან სკოლას დეტალურად აქვს განსაზღვრული თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა, 3.3.1(3) ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლის თანამშრომლები, მოსწავლეები და მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები სკოლაში სარგებლობენ თავიანთი უფლებითა და თავისუფლებით თანაბრად. თანამშრომელთა და სკოლის უფლებები და ვალდებულებები გაწერილია თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში. მოსწავლის და მშობლის უფლებები და ვალდებულებები გაწერილია მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში. პერსონალის და მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვისთვის სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეები. აღნიშნულიდან გამომდინარე, 3.3.1.(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების
მტკიცებულებები.

1. სკოლის შინაგანაწესი;
2. მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება საგანმანათლებლო მომსახურების მიწოდების თაობაზე;
3. თანამშომელთა ხელშეკრულებები;
4. მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი;

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები

სკოლის დირექციასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სასწავლო წლის დასაწყისში იმართება მშობელთა კრებები, სადაც დამრიგებლები მშობლებს აცნობენ სკოლის შინაგანაწესს, მოსწავლის ქცევის კოდექსს, სასკოლო სასწავლო გეგმას, შეფასების სისტემას, სახელმძღვანელოების ნუსხას, ასევე აწვდიან ინფორმაციას დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებებისა და წლის განმავლობაში დაგეგმილი აქტივობების შესახებ. გარდა ამისა, წლის განმავლობაში იმართება დამრიგებლებისა და საგნის მასწავლებლების შეხვედრები მშობლებთან სხვადასხვა აქტუალურ საკითხთან დაკავშირებით. სკოლის მიერ წარმოდგენილი მშობელთა კრებების ოქმების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ მშობლებსა და მოსწავლეებს დამრიგებლების მეშვეობით სისტემატურად მიეწოდებათ ინფორმაცია სკოლაში დაგეგმილი აქტივობების შესახებ. ასევე დადგინდა, რომ სკოლა აქტიურად იყენებს Facebook-ის პლატფორმას ინფორმაციის გასავრცელებლად, რაც დამატებით უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ სკოლა

უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარეების ინფორმირებას სხვადასხვა საკომუნიკაციო არხის გამოყენებით. შესაბამისად, **3.3.2(1)** ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა

სკოლის მართვის კოლეგიური ორგანოები დაკომპლექტებულია სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებით, რაც უზრუნველყოფს სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში შედიან თითოეული საფეხურის მშობლები და მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ არჩეული წარმომადგენელი. საბჭო მონაწილეობს ისეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში, როგორიცაა სკოლის დირექტორის არჩევა, ბიუჯეტის დამტკიცება, საჩივრების განხილვა, პედაგოგიური საბჭოს მიერ შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმისა და სასწავლო მასალების, მათ შორის გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ნუსხის შეთანხმება და სხვა. პედაგოგიური საბჭო დაკომპლექტებულია საგნისა და სპეციალური მასწავლებლებით და იღებს გადაწყვეტილებებს სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის შესახებ, ასევე ირჩევს საკუთარ წარმომადგენლებს დისციპლინურ კომიტეტსა და სამეურვეო საბჭოში. საგნობრივი კათედრები აერთიანებს შესაბამისი საგნების მასწავლებლებს, რომლებიც მონაწილეობენ სასწავლო მასალის შერჩევაში, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს და განიხილავენ შეფასების შედეგებს. დისციპლინური კომიტეტი დაკომპლექტებულია მასწავლებლის, მშობლისა და საშუალო საფეხურის მოსწავლის თანაბარი წარმომადგენლობით და უფლებამოსილია განიხილოს დისციპლინური გადაცდომები. მოსწავლეთა თვითმმართველობა იცავს მოსწავლეთა ინტერესებსა და უფლებებს, მონაწილეობს სასკოლო აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებაში, ხელს უწყობს კლუბების ფუნქციონირებას და სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზებას. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან დირექციის, სტრუქტურული ერთეულებისა და შესაბამისი რესურსცენტრის წარმომადგენლები. საბჭო განიხილავს სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს. სსსმ მოსწავლეებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით სკოლაში იქმნება სამუშაო ჯგუფი (ისგ), რომლის შემადგენლობაში შედიან საგნის მასწავლებლები, დამრიგებელი და მშობელი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობა სასკოლო ცხოვრებასა და მართვის კოლეგიურ ორგანოებში. შესაბამისად, **3.3.2(2)** ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების
მტკიცებულებები.

1. სტრუქტურული ერთეულების ოქმები;

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება
3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო

უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა

სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა ხორციელდება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანების შესაბამისად. სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი უფლებამოსილი პირი. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, რომლის მიხედვითაც სსიპ ჯემალ არძენაძის სახელობის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაქვის №2 საჯარო სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. ასევე წარმოდგენილია უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. ამასთან, სკოლის მიერ წარმოდგენილი შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2021 წლის წერილის საფუძველზე დგინდება, რომ დაწესებულებას განსაზღვრული ჰქონდა ვადა სახანძრო უსაფრთხოების დარღვევების აღმოსაფხვრელად 2022 წლის ბოლომდე, თუმცა აღნიშნული მოთხოვნები სრულად არ არის შესრულებული. სკოლის განმარტებით, ხარვეზების სრულად აღმოფხვრა ვერ განხორციელდა ფინანსური რესურსების სიმწირის გამო.აგრეთვე,

სკოლის ტერიტორია სრულად არ არის შემოსაზღვრული. კერძოდ, ღობე მოწყობილია მხოლოდ გზის მხრიდან, რაც უზრუნველყოფს პერიმეტრის დაცვას აღნიშნულ მონაკვეთში, ხოლო მეორე მხარეს, სადაც მცირე მდინარე ჩამოდის, ტერიტორია არ არის შემოღობილი. აღნიშნული გარემოება ქმნის ფიზიკური უსაფრთხოების რისკებს და არ უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიის სრულ პერიმეტრულ დაცვას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ სკოლაში ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მოთხოვნები სრულად არ არის დაკმაყოფილებული. სკოლას აგრეთვე მიეცა რჩევა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის დასაქმების შესახებ, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. სკოლამ **3.4.1.1.** ინდიკატორთან მიმართებით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა**,** სადაც ხარვეზის აღმოფხვრის ვადად მითითებულია **2027** წლის აპრილი**.** აღნიშნულის გათვალისწინებით**,** ინდიკატორი**,** რომელიც თავდაპირველად შეფასებული იყო როგორც **„**არ შეესაბამება**“,** შეფასდა როგორც **„**მეტწილად შეესაბამება**“.** სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს სკოლის ტერიტორიის სრულად შემოსაზღვრა, რათა უზრუნველყოფილი იქნეს პერიმეტრის სათანადო კონტროლი და სასკოლო საზოგადოების ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა. ასევე კანონმდებლობით დადგენილი წესით

მოიპოვოს შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დამადასტურებელი შესაბამისი დასკვნა., **3.4.1(1)** ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება.

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას

სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარითა და მედიკამენტებით და უზრუნველყოფს მოსწავლეთათვის პირველადი სამედიცინო დახმარების დროულ აღმოჩენას. სამედიცინო მომსახურება ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის (ექთნის) მიერ, რომელიც უზრუნველყოფს საჭირო რეაგირებას. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, რომლებიც არეგულირებს სკოლის შენობაში გადაუდებელი დახმარების გაწევის წესსა და პროცედურებს და განსაზღვრავს შესაბამის ქმედებებს, რაც უზრუნველყოფს პროცესის ორგანიზებულობასა და ეფექტიანობას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სამედიცინო დოკუმენტაცია წარმოებულია, თუმცა გამოყენებული ფორმები სრულად არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი №41/ნ/01-23/ნ ბრძანების დანართებით განსაზღვრულ ფორმებს.შესაბამისად, სკოლას მიეცა რჩევა, უზრუნველყოს აღნიშნული ბრძანებით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოება სრულად და დადგენილი ფორმების შესაბამისად.ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის შესაძლებლობა. შესაბამისად, **3.4.1.2** ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.**

3.სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ №06/ნ ბრძანების საფუძველზე. სკოლაში დასაქმებულია 3 დარაჯი, სკოლის დირექტორის ბრძანებით გამოყოფილია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი უფლებამოსილი პირი, სკოლაში დასაქმებულია სსიპ მანდატურის სამსახურის 2 მანდატური. შესაბამისად **3.4.1.3.** ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.**

4.სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

სკოლა თავისი შესაძლებლობების ფარგლებში ქმნის გარემოს, რომელიც უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სივრცის არსებობას.წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში იმართება საინფორმაციო შეხვედრები და ხორციელდება სხვადასხვა აქტივობა/პროექტი, რომლებიც მიმართულია ძალადობის პრევენციისა და ცნობიერების ამაღლებისკენ.ასევე, სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც განიხილავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს და გასცემს შესაბამის რეკომენდაციებს.ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნის ხელშეწყობას. შესაბამისად**, 3.4.1.4** ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.**

5.სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით, სკოლაში ხელშეკრულებით დასაქმებულია 3 დამლაგებელი.რომლებიც უზრუნველყოფენ დაწესებულების შიდა და გარე სივრცეების სისუფთავესა და მოწესრიგებას. სანიტარიული კვანძების დასუფთავებისთვის განკუთვნილი, სათანადოდ მარკირებული ინვენტარის შესანახად გამოყოფილია შესაბამისი სივრცე. საყოფაცხოვრებო ქიმიური და სადეზინფექციო საშუალებები ინახება სპეციალურად ამ მიზნით განსაზღვრულ, უსაფრთხო და ჩაკეტილ სათავსოში. სველი წერტილები ფუნქციონირებს და უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენისათვის საჭირო საშუალებებით, მათ შორის: საპნით, ქაღალდით, ხელსახოცებითა და ნარჩენების კალათებით. ამასთან, ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ სველი წერტილები საჭიროებს სარემონტო სამუშაოების განხორციელებას. სკოლას მიეცა რჩევა, უზრუნველყოს სველი წერტილების სარემონტო სამუშაოების ჩატარება სანიტარულ-ჰიგიენური პირობების გაუმჯობესების მიზნით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური პირობები ძირითადად უზრუნველყოფილია. შესაბამისად**, 3.4.1.5** ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.**

6.სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

სკოლას განსაზღვრული ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია მისი სამუშაო აღწერილობა და ანგარიშვალდებულების საკითხები. სკოლას ასევე დამტკიცებული აქვს პერსონალურ მონაცემთა

დაცვის წესი, რომელიც არეგულირებს მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებულ საკითხებს და სავალდებულოა შესასრულებლად. შესაბამისად**, 3.4.1.6** ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.**

7.სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები სკოლაში დაცულია ინფორმაცია სკოლის მოსწავლეების, მასწავლებლების, მშობლების შესახებ. დაწესებულება უზრუნველყოფს მის ხელთ არსებული მონაცემების დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურების, მოპოვების, გამჟღავნების, დაკარგვის და ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისგან, ასევე იცავს ელექტრონული ინფორმაციის არაავტორიზებული მომხმარებლის მიერ წვდომისა და დაზიანებისგან. სკოლა იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს და გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა/ვებგვერდი არის ლიცენზირებული. სკოლას ჰყავს საქმისწარმოებელი, რომელიც პასუხისმგებელია კომპიუტერული ლაბორატორიის უსაფრთხო და ეფექტურ მუშაობაზე. შესაბამისად 3.4.1.7. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

სკოლის მრჩეველთა საბჭო უზრუნველყოფს რეკომენდაციების გაცემას, რომელიც ეფუძნება სასწავლო პროცესის, უსაფრთხოების მექანიზმებისა და სასკოლო საქმიანობის სხვადასხვა მიმართულების შეფასების შედეგებს. საბჭოს მიერ შემუშავებული რეკომენდაციები მიმართულია არსებული პრაქტიკის გაუმჯობესებისა და სკოლის ეფექტიანი ფუნქციონირების მხარდაჭერისკენ. შესაბამისად 3.4.1.8. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.** დასტურდება (მტკიცებულებები): კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დირექტორის ბრძანება უსაფრთხოებაზე და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ
2. დირექტორის ბრძანება პერსონალურ მონაცემების დაცვის მექანიზმების დამტკიცების შესახებ
   დამლაგებლის შრომითი ხელშეკრულება. შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება. ○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

სსიპ ჯემალ არძენაძის სახელობის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაქვის №2 საჯარო სკოლა სასწავლო პროცესს ახორციელებს ორსართულიან შენობაში. სკოლის ინფრასტრუქტურა მოიცავს საკლასო ოთახებს, ადმინისტრაციულ კაბინეტებს (დირექტორის, მოადგილის, ბუღალტრისა და საქმისმწარმოებლის), სამასწავლებლოს, ბიბლიოთეკას, კომპიუტერულ ლაბორატორიას, კვების ბლოკს (სასკოლო ბუფეტს), სამედიცინო კაბინეტს, მანდატურისა და რესურს ოთახს, მუსიკის კაბინეტს, ასევე სველ წერტილებსა და დამხმარე დანიშნულების სივრცეებს. წარმოდგენილი ინფორმაციისა და ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული დათვალიერების შედეგად დგინდება, რომ თითოეული სივრცე აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით და გამოიყენება დანიშნულების შესაბამისად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, შესაბამისად**, 3.5.1(1)** ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.**

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის

დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსები, ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. სკოლაში ფუნქციონირებს ისეთი სივრცეები, როგორიცაა ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, სსსმ მოსწავლეთათვის განკუთვნილი რესურს ოთახი და სამასწავლებლო, რომლებიც გამოიყენება დანიშნულების შესაბამისად. სკოლის ფოიე, დერეფნები და ეზო უზრუნველყოფს სხვადასხვა აქტივობების განხორციელებისა და დასვენების შესაძლებლობას.ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ დაწესებულების ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის.

შესაბამისად**, 3.5.1(2)** ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.**

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით

სკოლაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა და დამტკიცებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომლის მიხედვითაც ხორციელდება საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდება. ადგილზე დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს მომხმარებლებისთვის შესაბამისი მომსახურების გაწევას, წიგნადი ფონდი დალაგებულია კლასიფიკაციის მიხედვით და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესების შესაბამისად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. შესაბამისად**, 3.5.1(3)** ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.**

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

სკოლის ინფრასტრუქტურა არ არის სრულად ადაპტირებული სსსმ მოსწავლეებისათვის. კერძოდ, შენობის შესასვლელში მოწყობილია პანდუსი, თუმცა სკოლაში არ არის ადაპტირებული სველი წერტილი. ამასთან, სკოლის ყველა სივრცე არ არის ხელმისაწვდომი ეტლით მოსარგებლე მოსწავლეებისთვის. კერძოდ, მათთვის შეზღუდულია წვდომა ისეთ მნიშვნელოვან საგანმანათლებლო სივრცეებზე, როგორიცაა კომპიუტერული ლაბორატორია და რესურს ოთახი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ სკოლის ინფრასტრუქტურა სრულად ვერ უზრუნველყოფს ინკლუზიური საგანმანათლებლო გარემოს შექმნას. სკოლამ **3.4.1.1.** ინდიკატორთან მიმართებით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა**,** სადაც ხარვეზის აღმოფხვრის ვადად მითითებულია **2028** წლის აპრილი**.** აღნიშნულის გათვალისწინებით**,** ინდიკატორი**,** რომელიც თავდაპირველად

შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება“. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს ინფრასტრუქტურის ადაპტაცია სსსმ მოსწავლეების საჭიროებების შესაბამისად, მათ შორის ადაპტირებული სველი წერტილის მოწყობა და სასწავლო სივრცეებზე სრულფასოვანი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. შესაბამისად, **3.5.1(4)** ინდიკატორი ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

სკოლის ინფრასტრუქტურა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ იგი ჩამოყალიბდეს სოციო-კულტურულ სივრცედ. სკოლას აქვს შიდა კეთილმოწყობილი ეზო, სადაც იმართება აქტივობები. სკოლა ღინისძიებებისთვის აქტიურად იყენებს სპორტულ დარბაზს და მუსიკის კაბინეტს. შესვენებებზე და გაკვეთილების ბოლოს მოსწავლეებს საშუალება აქვთ რეკრეაციულ სივრცეში დაისვენონ. სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებში ინდივიდუალური, ესთეტიკური, შემოქმედებითი, სოციალური და თანამშრომლობითი კომუნიკაციის უნარების განვითარებას. 3.5.1.5.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების
მტკიცებულებები.

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან; აზომვითი ნახაზი;
2. საინვენტარო აღწერილობის აქტები;
3. მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი;

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად

სკოლა სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებს საინფორმაციო ტექნოლოგიებს, რისთვისაც უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურა, როგორც მოსწავლეთათვის, ისე სკოლაში დასაქმებული პერსონალისთვის. საერთო სარგებლობის სამუშაო სივრცედ ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც ხელმისაწვდომია როგორც მასწავლებლებისთვის, ასევე მოსწავლეებისთვის. კომპიუტერულ ტექნიკაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია საქმისმწარმოებელი. სკოლის მიერ წარმოდგენილი კომპიუტერული ინფრასტრუქტურის აღწერის საფუძველზე დგინდება, რომ არსებული ტექნიკური რესურსი საკმარისია სასწავლო პროცესში ტექნოლოგიების გამოყენებისთვის, ხოლო კომპიუტერული ლაბორატორიაში არსებული ტექნიკა ფუნქციონირებს გამართულად. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი, რომელიც მოიცავს ისტ ლაბორატორიის გამოყენების პირობებს. დოკუმენტში განსაზღვრულია მომხმარებელთა უფლებები (ტექსტის შექმნა და რედაქტირება, საჭირო მასალების მოძიება და გადმოწერა, ელექტრონული რესურსების გამოყენება) და შეზღუდვები (ფაილების წაშლის აკრძალვა, ტექნიკის არასასწავლო დანიშნულებით გამოყენების შეზღუდვა). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია ტექნოლოგიური რესურსების ხელმისაწვდომობა და მათი მიზნობრივი გამოყენება. შესაბამისად**, 3.6.1.1** ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.** დასტურდება (მტკიცებულებები): კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

2. ვიზუალური დათვალიერება;

3. მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი;

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი

სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომელიც განსაზღვრავს სკოლაში საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას და ადგენს დოკუმენტებსა და მოქალაქეთა განცხადებებზე, წერილებზე მუშაობის წესს. საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირია საქმისმწარმოებელი. მისი ფუნქციები განსაზღვრულია შრომითი ხელშეკრულებით. საქმისმწარმოებელი ელექტრონულად აღრიცხავს და არეგისტრირებს სასკოლო დოკუმენტაციას, ახორციელებს მოსწავლეების ჩარიცხვა-ამორიცხვას, უზრუნველყოფს სკოლის არქივის დაცვას, გასცემს დოკუმენტაციის დამოწმებული ასლს, ასევე უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას, იღებს შემოსულ კორესპონდენციას, უზრუნველყოფს შემოსული კორესპოდენციის შესწავლასა და ადრესატისთვის წარდგენას და სხვა. ბრძანებები სისტემატიზებულია საკადრო და საერთო ბრძანებებად. ბრძანებები ინომრება წლიდან წლამდე, გამოცემის თარიღისა და რიგითობის მიხედვით. სკოლას ასევე აქვს სარეგისტრაციო 3 სახის ჟურნალი: საკადრო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი, საერთო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი და შრომითი ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალი. ჟურნალები დანომრილი, აკინძული, ბეჭედდასმული და ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ. 3.6.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა

სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა (Eflow). სკოლაში eSchool-ს სისტემის მეშვეობით ხდება ბაზაში მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერების, ჩარიცხვაამორიცხვის და დასაქმებული პერსონალის პერსონალური ინფორმაციის ასახვა. სკოლას აქვს ელექტრონული ფოსტა, სადაც ხდება ზოგიერთი ინფორმაციის და დოკუმენტის მიიღება. შესაბამისად 3.6.2.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ვიზიტის მიმდინარეობისას, ექსპერტები გაეცნენ სკოლის პროფილს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. როგორც გაირკვა, სკოლას სრულად აქვს ასახული მონაცემები სკოლის ბარათზე. სრულყოფილია ინფორმაცია მასწავლებლების შესახებაც და ატვირთულია შესაბამისი მტკიცებულებები. სკოლის მიერ შერჩეული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ნუსხა, ასევე ხელმისაწვდომია სკოლის პროფილზე. შესაბამისად 3.6.2.3. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან

როგორც უკვე აღინიშნა, სკოლა იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას. დაწესებულება საგანმანათლებლო რესურსცენტრის შუამდგომლობის საფუძველზე, მიმართავს საქართველოს განათლების მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, ასევე, სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ სხვადასხვა საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს შესაბამისად.**3.6.2.4.** ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების
მტკიცებულებები.

1) დირექტორის ბრძანება „საქმისწარმოების ერთიანი წესის დამტკიცების შესახებ “;
2) სკოლის სარეგისტრაციო ჟურნალების ნიმუშები (ბრძანებების, გასული/შემოსული დოკუმენტაციისა და შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი); 3) Eschool -ის ის და Eflow - ვიზუალური დათვალიერება.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით

სკოლის სახელზე შექმნილია ოფიციალური პროფილი skolebi.emis.ge პლატფორმაზე, სადაც განთავსებულია ინფორმაცია სკოლის შესახებ. აღნიშნული ვებგვერდი უზრუნველყოფს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას და ასრულებს საკომუნიკაციო საშუალების ფუნქციას.გარდა ამისა, სკოლა საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელებს, სადაც ფუნქციონირებს სკოლის ოფიციალური გვერდი და უზრუნველყოფილია უკუკავშირის მიღების შესაძლებლობა.ასევე, სკოლის ფოიეში განთავსებულია საინფორმაციო დაფა, სადაც რეგულარულად ქვეყნდება სასკოლო ცხოვრებაში მიმდინარე სიახლეები და მნიშვნელოვანი ინფორმაცია.ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ სკოლა იყენებს სხვადასხვა საკომუნიკაციო არხს ინფორმაციის გავრცელებისა და დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობისთვის.შესაბამისად**, 3.6.3.1** ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.**

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას
   სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. აღნიშნული მიზნით გამოიყენება როგორც ოფიციალური ვებგვერდი, ასევე სოციალური ქსელები.სკოლის სოციალური ქსელის გვერდის დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ დაინტერესებული პირებისთვის მიწოდებული ინფორმაცია, მათ შორის სასწავლო და შემეცნებითი ღონისძიებების შესახებ, არის სანდო და შეესაბამება რეალურ საქმიანობას, ვინაიდან იგი ვრცელდება სკოლის ოფიციალური არხების მეშვეობით.ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს სანდო ინფორმაციის გავრცელებას სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით. შესაბამისად**, 3.6.3.2** ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.**
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად

   ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას ინდიკატორი **3.6.3.3.** ვერ იქნება შეფასებული**;**

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას

სკოლას აქვს ოფიციალური ვებგვერდი, სადაც განთავსებულია სრულყოფილი ინფორმაცია მისი საქმიანობის შესახებ.ვინაიდან სკოლა სასწავლო პროცესს ახორციელებს ქართულ ენაზე, ვებგვერდზე წარმოდგენილი ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე.ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას შესაბამის ენაზე.შესაბამისად**, 3.6.3.4** ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.**

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია სკოლის ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია დაწესებულების შესახებ, მათ შორის მისია, ხედვა და ღირებულებები. ასევე გრაფიკული სახით წარმოდგენილია სკოლის სტრუქტურა.ვებგვერდი შეიცავს ინფორმაციას საგანმანათლებლო პროგრამებისა და მათზე ჩარიცხვის პროცედურების შესახებ, ასევე მოსწავლეთა უფლებებისა და გასაჩივრების მექანიზმების შესახებ.ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ ვებგვერდი სრულად შეიცავს სკოლის საქმიანობასთან დაკავშირებულ ძირითად ინფორმაციას და უზრუნველყოფს მისი ხელმისაწვდომობას დაინტერესებული პირებისთვის.შესაბამისად, 3.6.3.5 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების
მტკიცებულებები.

1) სკოლის სოციალური გვერდის ვიზუალური დათვალიერება;

2) სკოლის ვებგვერდის ვიზუალური დათვალიერება;

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება

სკოლა უზრუნველყოფილია შესაბამისი ფინანსური რესურსით. დაფინანსების ძირითადი წყაროა ვაუჩერული დაფინანსება. გარდა ამისა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სკოლას გამოუყოფს ფინანსურ რესურსებს, მათ შორის სსსმ მოსწავლეებისთვის განკუთვნილი თანხებისა და მასწავლებელთა დანამატების სახით.წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე დგინდება, რომ ფინანსური რესურსების განკარგვა ხორციელდება მიზნობრივად და მიმართულია სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, სასწავლო პროცესის მხარდაჭერასა და სხვა საგანმანათლებლო აქტივობების განხორციელებაზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ სკოლის ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმის განხორციელებას.შესაბამისად**, 3.7.1(1)** ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.**

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა

სკოლას დანერგილი აქვს ფინანსური რესურსების მართვის, დაგეგმვის, განკარგვისა და მონიტორინგის სისტემა. კერძოდ, სკოლის შესყიდვები ხორციელდება დამტკიცებული სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად. სკოლა ყოველწლიურად ამტკიცებს ბიუჯეტს სამეურვეო საბჭოს სხდომაზე, რაც უზრუნველყოფს ფინანსური პროცესების გამჭვირვალობასა და მონაწილეობითობას. სასწავლო წლის დასრულების შემდეგ მზადდება ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი, რომელშიც დეტალურად არის ასახული წლის განმავლობაში მიღებული და გახარჯული ფინანსური რესურსები.ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსების მართვის ძირითადი მექანიზმების ფუნქციონირება.შესაბამისად**, 3.7.1(2)** ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.** დასტურდება (მტკიცებულებები): კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1) სკოლის სამეურვეო საბჭოს ოქმი ბიუჯეტის დამტკიცებაზე;
2) სკოლის დირექტორის ბრძანება - სკოლის 2025 წლის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ“;
3) სკოლის სამეურვეო საბჭოს ოქმი -ფინანსური საქმიანობის ანგარიში;

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა
4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა

მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა და გარანტიები უზრუნველყოფილია როგორც მოქმედი კანონმდებლობის, ასევე სკოლის მიერ შემუშავებული შიდა რეგულაციების საფუძველზე. სკოლაში ტარდება მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნები და თვითმმართველობა ფუნქციონირებს დამტკიცებული დებულების საფუძველზე. საშუალო საფეხურის თვითმმართველობის თავმჯდომარე წარმოადგენს სამეურვეო საბჭოს წევრს, მონაწილეობს მის საქმიანობაში და სარგებლობს ხმის უფლებით. ასევე, მოსწავლეები წარმოდგენილნი არიან დისციპლინური კომიტეტის შემადგენლობაშიც. სკოლაში განსაზღვრულია მოსწავლეთა შეფასებასთან დაკავშირებული პროცედურები, მათ შორის შემაჯამებელი დავალების აღდგენის შესაძლებლობა სემესტრის განმავლობაში. საჭიროების შემთხვევაში, მასწავლებლები მოსწავლეებს უწევენ შესაბამის კონსულტაციებს. მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დამუშავება ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად, მათ შორის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის საფუძველზე.ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა უფლებების დაცვა.შესაბამისად**, 4.1.1.1** ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.**

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან

სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე და მისი გაცნობის შესაძლებლობა აქვს ყველა დაინტერესებულ პირს. შინაგანაწესით განსაზღვრული რეგულაციები, რომლებიც ეხება მოსწავლის უფლებების დაცვასა და გარანტიებს, გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებაში. სკოლაში მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ მართვის პროცესებში, მათ შორის ირჩევენ საკუთარ წარმომადგენლებს თვითმმართველობაში. ასევე, შინაგანაწესით განსაზღვრულია მშობლებთან შეხვედრის დღეები და დრო, რაც უზრუნველყოფს ეფექტიან კომუნიკაციას. სკოლაში შემუშავებულია მშობლებთან ურთიერთობის დებულება, რომელიც განსაზღვრავს მშობლების უფლებებსა და თანამშრომლობის ფორმებს.

აღნიშნული რეგულაციები განიხილება და გაზიარებულია მშობელთა კრებებზე. მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულებები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან. შესაბამისად**, 4.1.1.2** ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.**

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება

სკოლამ წარმოადგინა მოსწავლეთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რომლებიც შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. ხელშეკრულებებით განსაზღვრულია სკოლის, მოსწავლისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებები და მოვალეობები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ მოსწავლეებთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობები მოწესრიგებულია.შესაბამისად**, 4.1.1.3** ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.** დასტურდება (მტკიცებულებები): კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის შინაგანაწესი;
2. მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;
3. თვითმმართველობის დებულება;
4. სამეურვეო საბჭოს ოქმი თვითმმართველობაზე;
5. გასაჩივრების წესი (ბრძანება);
6. სკოლასა და მშობელს შორის დადებული ხელშეკრულება.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები

დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, მოსწავლის სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი, აღნიშნულ წესში დეტალურადაა გაწერილი მოსწავლის პირველ კლასში მიღების წესები და ეტაპები, წარმოსადგენი დოკუმენტაცია, სხვადასხვა კლასში მოსწავლის მიღების წესი, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე მოსწავლის ჩარიცხვა, მობილობის პროცედურა და სტატუსის შეჩერება აღდგენის პირობები. ინფორმაციის მიწოდება ასევე ხორციელდება დამრიგებლებისა და სკოლის ადმინისტრაციის მიერ. სკოლის მოსწავლეების მშობლები დამრიგებლებისა და სკოლის საქმისმწარმოებლის მხრიდან ინფორმირებულები არიან მობილობის განხორციელების პროცედურების შესახებ, საგანმანათლებლო რესურსცენტრის თანხმობით, განსხვავებულ ვადებში ჩარიცხვისა და შეზღუდულ ვადაში მობილობის განხორციელების შესაძლებლობის არსებობის შესახებ. კლასის დამრიგებლები მშობლებს აწვდიან ინფორმაციას სკოლაში მოსწავლის სტატუსის შეჩერება აღდგენის პროცედურების შესახებ ინდივიდუალურ შეხვედრებზე, სატელეფონო კომუნიკაციისას, სოციალური ქსელის მეშვეობით და მშობელთა კრებებზე. დამრიგებლები მოსწავლეთა მშობლებს ასევე აწვდიან ინფორმაციას გაცდენების შემთხვევაში მოსალოდნელი შედეგის, კერძოდ, სტატუსის შეჩერების შესახებ. 4.1.2.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს

სკოლა კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურებს. სკოლაში მოსწავლეთა მიღება ხორციელდება დადგენილი ნორმებისა და პროცედურების შესაბამისად, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. პირველკლასელთა რეგისტრაცია მიმდინარეობს სკოლის მიერ განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში, მინისტრის მიერ დადგენილი ვადებისა და ეტაპების შესაბამისად. მოსწავლეთა მობილობა ხორციელდება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების შესაბამისად. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია მოსწავლეთა მობილობის წესი, რომელიც შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ მოსწავლეთა სტატუსთან დაკავშირებული პროცედურები ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად, **4.1.2(2)** ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.**

.

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, საგანმანათლებლო პროგრამების და მათი სპეციფიკის, ასევე სკოლის შიდა პოლიტიკისა და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდ არის ხელმისაწვდომი.სკოლაში დამატებით ფუნქციონირებს უფასო სპორტული წრე, ასევე ფასიანი ცეკვის წრე, რომლებიც ხელმისაწვდომია მოსწავლეებისთვის.აღნიშნული ინფორმაცია განთავსებულია სკოლის ოფიციალურ საკომუნიკაციო არხებზე და ასევე ხელმისაწვდომია სკოლის შიდა საინფორმაციო რესურსების მეშვეობით, რაც უზრუნველყოფს დაინტერესებული პირების ინფორმირებულობას.ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას. შესაბამისად**, 4.1.2(3)** ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.**

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული

სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების, სერვისების, აქტივობებისა და რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. ინფორმაცია ვრცელდება სკოლის ოფიციალური საკომუნიკაციო არხების მეშვეობით და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის.ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს სანდო და გამჭვირვალე ინფორმაციის გავრცელებას.შესაბამისად**, 4.1.2(4)** ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების
მტკიცებულებები.

1. მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი;
2. მოსწავლის ჩარიცხვა;
3. საშუალო საფეხურის დაძლევა;
4. სტატუსის აღდგენა;
5. სტატუსის შეჩერება;
6. უცხო ენის არჩევა;
7. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, დებულება;
8. კლუბის დებულება;

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები
4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი

სკოლაში დამტკიცებულია მოსწავლეთა გარემოსთან ადაპტაციის წესი, რომელიც არეგულირებს ახალი მოსწავლეების სასკოლო გარემოში ინტეგრაციის პროცესს.დოკუმენტის მიხედვით, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მოსწავლის ინდივიდუალურ თავისებურებებსა და სასკოლო მზაობას, ასევე განსაზღვრულია კლასის დამრიგებლისა და მშობლის როლი ადაპტაციის პროცესში.ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ სკოლაში განსაზღვრულია მოსწავლეთა გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმები.შესაბამისად**, 4.2.1.1** ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.**

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან

როგორც აღინიშნა, სკოლაში შემუშავებულია მოსწავლეთა ადაპტაციის წესი, რომლის მიხედვითაც დაწესებულება სწავლების დაწყების ეტაპიდანვე უზრუნველყოფს მოსწავლეთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციას.სწავლის დაწყებამდე ან პირველივე დღეს ორგანიზდება საორიენტაციო ვიზიტი, რომლის ფარგლებში მოსწავლეები ეცნობიან სასკოლო გარემოს და იღებენ მათთვის საჭირო საორგანიზაციო ინფორმაციას.მობილობის წესით ჩარიცხული მოსწავლეების შემთხვევაში ადაპტაციის პროცესში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება კლასის დამრიგებელს, რომელიც გეგმავს და ახორციელებს ჯგუფურ აქტივობებს ახალი მოსწავლის კლასში ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით.

დირექტორის განმარტებით, სკოლაში დანერგილია თანამშრომლობითი პრაქტიკა მიმდებარე საბავშვო ბაღთან. ბაღის აღსაზრდელები სტუმრობენ სკოლას, წინასწარ ეცნობიან სასწავლო გარემოს და მონაწილეობენ სასკოლო ღონისძიებებში, რაც ხელს უწყობს მათ მომავალ ადაპტაციას.სსსმ მოსწავლეებისთვის შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები; იქმნება შესაბამისი სამუშაო ჯგუფი (ისგ), რომელიც მოსწავლის ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით გეგმავს სასწავლო პროცესს.ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ სკოლაში დანერგილია მოსწავლეთა ადაპტაციის მხარდამჭერი პრაქტიკა.შესაბამისად**, 4.2.1.2** ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.**

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

სკოლის დირექტორის განმარტებით, დაწესებულება ზრუნავს მოსწავლეთა მხარდაჭერაზე აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით. აღნიშნული მიზნით გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, თვითშეფასება, ასევე ზეპირი და

წერილობითი უკუკავშირი კომენტარებისა და რეკომენდაციების სახით.იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს სოციალური ფაქტორების გამო აქვს სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები და ვერ აკმაყოფილებს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე უზრუნველყოფილია მისი ჩართვა ინკლუზიურ განათლებაში.სასკოლო პროექტების დაგეგმვისა და განხორციელებისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და საჭიროებები. ასევე, განსაზღვრულია შემაჯამებელი დავალების აღდგენის შესაძლებლობა სემესტრის განმავლობაში.მოსწავლეთა გაცდენებით გამოწვეული აკადემიური ჩამორჩენის შემთხვევაში მასწავლებლები მუშაობენ ინდივიდუალურად, რაც ხელს უწყობს ჩამორჩენის.ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ სკოლაში დანერგილია მოსწავლეთა აკადემიური მხარდაჭერის პრაქტიკა.შესაბამისად**, 4.2.1.3** ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.**

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით

მოსწავლისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლებების რეალიზების უზრუნველსაყოფად სკოლა ახორციელებს შესაბამის ადმინისტრაციულ მხარდაჭერას. სკოლაში სსსმ მოსწავლის ჩარიცხვის შემთხვევაში იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის სამუშაო ჯგუფი (ისგ), რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინებით ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებასა და განხორციელებას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფლებების რეალიზებისთვის შესაბამის ადმინისტრაციულ მხარდაჭერას. შესაბამისად**, 4.2.1.4** ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.**

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას

სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ განათლებას, რომელიც სხვადასხვა აქტივობების მეშვეობით ხელს უწყობს მოსწავლეთა ჰოლისტურ განვითარებას, პიროვნულ ზრდასა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობების გაფართოებას. არაფორმალური განათლების ხელშეწყობის მიზნით სკოლაში ფუნქციონირებს სხვადასხვა კლუბი და წრე, მათ შორის: გეოგრაფიის კლუბი**". ,,**ბუნების ერთგული მცველები**" .** სკოლა ასევე ახორციელებს გასვლით ღონისძიებებს, მათ შორის

შემეცნებით ექსკურსიებს მუზეუმებში, ისტორიულ ადგილებში, სამეცნიერო ლაბორატორიებში, ნაკრძალებსა და კულტურულ სივრცეებში, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა კულტურული ცნობიერებისა და სასწავლო გამოცდილების განვითარებას. სკოლა აქტიურად უჭერს მხარს მოსწავლეთა ინიციატივებს. 2025-2026 სასწავლო წელს მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით განხორციელდა სხვადასხვა აქტივობა, მათ შორის საქველმოქმედო ვიზიტი მოხუცთა თავშესაფარში. მოსწავლეთა ინიციატივით და მონაწილეობით სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა აქტივობები, მათ შორის ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, სკოლამ განახორციელა საინტერესო პროექტი - ჯანსაღი ცხოვრება ჯანმრთელობის საწინდარია''. სკოლებს შორის სპორტული შეჯიბრებები, თემატური შეხვედრები (ბულინგისა და ძალადობის პრევენციის საკითხებზე) და სოციალური მიმართულების ღონისძიებები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობას როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური განათლების საშუალებით.

შესაბამისად**, 4.2.1.5** ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.**

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას

სკოლამ წარმოადგინა მშობელთა კრების ოქმი, რომლის საფუძველზეც დასტურდება, რომ მეორე უცხო ენის არჩევის საკითხი განხილული იყო მშობლებთან და არჩევანი განხორციელდა მათი ინტერესების გათვალისწინებით. საშუალო საფეხურზე არჩევითი საგნების შეთავაზება და სწავლება ასევე ხორციელდება მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით.
სკოლა ცდილობს მშობელთა და მოსწავლეთა გამოკითხვის საშუალებით გამოავლინოს მათი მოლოდინები და ინტერესები და აღნიშნული მონაცემები გაითვალისწინოს როგორც სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, ასევე მოსწავლეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის დაგეგმვას მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესების გათვალისწინებით. შესაბამისად**, 4.2.1.6** ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების
მტკიცებულებები.

1. მოსწავლეთა ადაპტაციის წესის დამტკიცების შესახებ;
2. თვითმმართველობის ოქმი N1, N2 ;
3. ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა;
4. სკოლაში მოსწავლეთა ტრანზიციისა და რემედიაციის წესი;
5. შინაგანაწესი;
6. სასკოლო სასწავლო გეგმა;
7. უცხო ენის არჩევის ოქმი.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის

სკოლაში მოსწავლეთათვის ხელმისაწვდომია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება. აღნიშნული მიმართულებით სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა აქტივობა და ინიციატივა, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა ინფორმირებას პროფესიული არჩევანისა და მომავალი კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ. ამასთან, სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმი სსიპ კოლეჯი „ბლექ სი"-თან, რომლის ფარგლებშიც ორგანიზდება მოსწავლეთა ვიზიტები კოლეჯში, სადაც ისინი ადგილზე ეცნობიან სასწავლო პროგრამებსა და პროფესიულ გარემოს. ასევე, სადამრიგებლო საათის ფარგლებში გათვალისწინებულია თემები პროფესიებთან დაკავშირებით, რაც დამატებით უწყობს ხელს მოსწავლეთა კარიერულ ორიენტაციას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთათვის კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების ხელმისაწვდომობას. შესაბამისად**, 4.2.2.1** ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.**

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით

სკოლა სისტემატურად აწვდის მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ. ინფორმაციის მიწოდება ხორციელდება სხვადასხვა ფორმით, მათ შორის სადამრიგებლო საათების, საინფორმაციო შეხვედრებისა და საკომუნიკაციო არხების გამოყენებით. ამასთან, სკოლა თანამშრომლობს სსიპ კოლეჯი „ბლექ სი“-თან, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთათვის პროფესიული განათლების შესაძლებლობების გაცნობას და მათ ინფორმირებულ არჩევანს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა და მათი კანონიერი წარმომადგენლების ინფორმირებულობას შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ. შესაბამისად**, 4.2.2.1** ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.**

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს

ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას **4.2.2.3** ინდიკატორი ვერ შეფასდება;

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების
მტკიცებულებები.

1) მემორანდუმი

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი

სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა არეგულირებს ინკლუზიური განათლების საკითხებს და განსაზღვრავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობის ძირითად მიმართულებებს. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის მექანიზმები და ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა. თითოეული სსსმ მოსწავლისთვის შედგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (ისგ), ხოლო მისი განხორციელების მიზნით შექმნილია შესაბამისი სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან დამრიგებელი, სპეციალური მასწავლებელი, საგნის მასწავლებლები და მშობელი.ისგ ჯგუფები საქმიანობას ახორციელებენ შეთანხმებულად, უზრუნველყოფენ მოსწავლეთა პროგრესის შეფასებას და საჭიროების შემთხვევაში ახდენენ ისგ-ის კორექტირებას მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.სსსმ მოსწავლეების იდენტიფიცირება ხორციელდება სკოლის მიერ შემუშავებული ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარების და მონიტორინგის წესის შესაბამისად, ხოლო ჩარიცხვა ხდება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიმართვისა და მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია ინკლუზიური განათლების ორგანიზების ძირითადი მექანიზმები. შესაბამისად**, 4.2.3.1** ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.**

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს

სკოლაში სსსმ მოსწავლეთა წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობას. მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება მულტიდისციპლინური გუნდის მიერ, ხოლო ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას უზრუნველყოფს ისგ ჯგუფი. შექმნილია ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც ახორციელებს ისგ-ის შესრულების შეფასებასა და მონიტორინგს. სკოლა უზრუნველყოფს შესაბამის საგანმანათლებლო რესურსებს, ზრუნავს მოსწავლეთა ინტეგრაციასა და პოზიტიური გარემოს შექმნაზე. რესურსოთახი აღჭურვილია საჭირო ინვენტარით, ხოლო მოსწავლეთა ნამუშევრები გამოიფინება სკოლის სივრცეში. სკოლა ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობით. შესაბამისად 4.2.3.2. ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების
მტკიცებულებები.

1. მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;
2. ი ს გ ჯგუფის შექმნის ბრძანება;
3. სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა. /ინკლუზიური განათლება /;
4. ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ“ ;
5. ი ს გ-ს ჯგუფის შეხვედრის №1 ოქმი;
6. ი ს გ-ს ჯგუფის შეხვედრის №2ოქმი;
7. ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის მასალები;
8. ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის რეკომენდაციები და დასკვნები;

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

სკოლაში იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე ფუნქციონირებს ქართული ხალხური ცეკვის წრე და კვების ბუფეტი. შესაბამისი ფართი გაცემულია მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმების დაცვით, კერძოდ, სამეურვეო საბჭოს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და აჭარის ავტონომიური

რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს თანხმობების საფუძველზე.ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ დამატებითი მომსახურების ორგანიზება ხორციელდება სამართლებრივი მოთხოვნების დაცვით. შესაბამისად**, 4.2.4.1** ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.**

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას

სკოლაში შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების საფუძველზე იჯარის წესით გაცემულია ფართი ქართული ხალხური ცეკვების შემსწავლელი წრის ფუნქციონირებისათვის. გათვალისწინებულია სასკოლო სასწავლო გეგმით და შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან. შესაბამის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით - იმ მოსწავლის მშობელთან შეთანხმებით,შესაბამისად 4.2.4.2. ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს

სკოლაში არსებული დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება (ცეკვის წრის ფუნქციონირება იჯარით გაცემულ ფართში) ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადი წესების დაცვით. სკოლის ტერიტორიაზე მყოფ პირთა ქცევის წესები რეგულირდება შინაგანაწესით. უსაფრთხოების ნორმები რეგულირდება საიჯარო ხელშეკრულებით. შესაბამისად 4.2.4.3. ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების
მტკიცებულებები.

1. იჯარის ხელშეკრულება;
2. იჯარაზე თანხმობა-სამინისტროდან;
3. აუდიტის დასკვნა; შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხური	☐ შეესაბამება ☑ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☑ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☑ შეესაბამება ☐მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☑ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☑ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი საბაზო საფეხური	☐ შეესაბამება ☑ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☑ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☑ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☑ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☑ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი საშუალო საფეხური	☐ შეესაბამება ☑ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☑ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☑ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☑ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☑ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება ინდიკატორის მოთხოვნებთან

შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას

სკოლაში არსებული კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინტერესებისა და პრიორიტეტების იდენტიფიცირებასა და მათ ასახვას სასწავლო გეგმაში. პროცესი ეფუძნება მონაწილეობით პრინციპებს, რაც დასტურდება სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებით (გამოკითხვები, სამუშაო შეხვედრები, ინტერვიუები) მიღებული უკუკავშირის ანალიზით. დოკუმენტაცია ცხადყოფს, რომ საგნობრივი კურიკულუმები და თემატური მატრიცები სტრუქტურირებულია მოსწავლეთა აკადემიური შესაძლებლობებისა და დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გათვალისწინებით, რაც ხელს უწყობს სწავლა-სწავლების პროცესის სკოლის კონტექსტთან ადაპტირებას.

შესაბამისად, ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების წევრების (მოსწავლეების, მშობლებისა და მასწავლებლების) ინტერესები. თემატურ მატრიცებში ინტეგრირებული შემოქმედებითი დავალებები და შერჩეული საკითხები მორგებულია მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებსა და მათ შემეცნებით საჭიროებებს. კურიკულუმში ასახული პრიორიტეტები და სწავლების მეთოდოლოგია ეფუძნება სკოლის კონტექსტსა და იმ მოლოდინებს, რომლებიც საზოგადოების მხრიდან გამოვლინდა წინარე კვლევებისა და სამუშაო შეხვედრების ეტაპზე. შესაბამისად, ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ადგილზე ვიზიტისას მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეგვიძ₾ია დავასკვნათ, რომ სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესი განხორციელდა საგნობრივი კათედრებისა და პედაგოგების აქტიური მონაწილეობით, რაც დასტურდება სამუშაო შეხვედრების ოქმებითა და შიდაორგანიზაციული დოკუმენტაციით. დოკუმენტების ანალიზი ცხადყოფს, რომ თემატური მატრიცები და კომპლექსური დავალებები შექმნილია უშუალოდ სკოლის მასწავლებელთა მიერ, საგნობრივი ჯგუფების ფარგლებში გამართული დისკუსიებისა და გამოცდილების გაზიარების საფუძველზე. პროცესის კოლეგიურობა უზრუნველყოფს კურიკულუმის შესაბამისობას სკოლის ავტონომიის პრინციპებთან და მის პრაქტიკულ რეალიზებადობას სასწავლო გარემოში. შესაბამისად, ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სასკოლო კურიკულუმი წარმოადგენს სასკოლო საზოგადოების მიერ შეთანხმებულ და გაზიარებულ დოკუმენტს. მისი შინაარსი, სწავლების სტრატეგიები და შეფასების სისტემა საჯაროა და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის (მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები). გაზიარების პროცესი დასტურდება კურიკულუმის განხილვის ოქმებით,

საინფორმაციო შეხვედრებითა და სკოლის ვებ-გვერდზე მისი განთავსებით. სასკოლო საზოგადოების მხრიდან დოკუმენტის გაზიარება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის გამჭვირვალობას და ხელს უწყობს საერთო საგანმანათლებლო მიზნების გარშემო მხარეთა გაერთიანებას. შესაბამისად, ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების
მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- სასკოლო კურიკულუმები;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- მშობელთა კრების ოქმები;

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სსიპ - ჯემალ არძენაძის სახელობის სოფელ ჩაქვის №2 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები და ზოგადად დოკუმენტაცია ადასტურებს დაწესებულების ორიენტირებულობას თანამედროვე, მოსწავლეზე ორიენტირებულ სწავლებაზე. ყველა საფეხურზე სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვა ხასიათდება შემდეგი პოზიტიური ასპექტებით: მაგალითად, პირველ, მეორე, მეხუთე და მეექვსე კლასებში შემუშავებული, ასევე საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმები სრულად შეესაბამება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებს. მათში ინტეგრირებული შემოქმედებითი ტიპის

	დავალებები პირდაპირ და ზუსტად მიემართება სამიზნე ცნებებსა და თემებს, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ ცოდნის ეტაპობრივ და გააზრებულ კონსტრუირებას. რჩევა: • სასურველია, კათედრამ გააგრძელოს მუშაობა კურიკულუმების სრულყოფაზე და პირველ, მეორე, მეხუთე და მეექვსე კლასებში არსებული საუკეთესო პრაქტიკა სრულად განავრცოს მე-3 და მე-4 კლასების თემატურ მატრიცებზეც. • მიზანშეწონილია, მე-3 და მე-4 კლასების კურიკულუმებში შემოქმედებითი დავალებები კიდევ უფრო მეტად დაუკავშირდეს შესაბამის სამიზნე ცნებებს, რათა შენარჩუნდეს სწავლა-განვითარების ერთიანი და უწყვეტი ჯაჭვი მთელი დაწყებითი საფეხურის განმავლობაში.

საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების საფუძველზე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე და გარკვეული საკითხების დამუშავებისთვის გამოიყენება შუალედური სასწავლო მიზნები/შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვას.
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაწერილ სამიზნე ცნებებს და შესაბამისად ორიენტირდება მოსწავლის განვითარებაზე. სკოლაში არსებობს სწავლის პროცესის ხარისხის განვითარების გუნდი, რომლის ერთ-ერთი პასუხისმგებლობაა, დაეხმაროს მასწავლებლებს საგაკვეთილო პროგრამის დაგეგმვასა და განხორციელებაში, ასევე მოახდინოს პროცესის დასრულების შემდგომი მონიტორინგი. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც აღწერილია სწავლის პროცესის განმახორციელებელი თითოეული რგოლის ჩართულობისა და ფუნქციის შესახებ. სკოლამ წარმოადგინა კათედრის სხდომის დოკუმენტებიც, რომელშიც

	აღწერილია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოოგის მიხედვით წარმართული პროცესი.

ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკის კათედრის წარმოდგენილ კურიკულუმში(მუსიკა/ხელოვნება) ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომლებიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად და თავისთავად ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმის ჩარჩოს გაცნობისას გამოიკვეთა რიგი პრობლემები და ხარვერზები. მუსიკა: კურიკულუმები ითვალისწინებს გრძელვადიანი მიზნებს, რომლებიც მოცემულია ეროვნულ სასწავლო გეგმაში. კურიკულუმში მოცემულია ის თემები, რომელიც გათვალისწინებულია საგნობრივი სტანდარტების მიხედვით. ხელოვნება: I, II, III, IV,V, VI კლასის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმში არ არის გათვალისწინებული და დაფარული სრულად თემატური ბლოკები, VI კლასების სახვითი და გამოყენებითი კურიკულუმში არ მუშავდება მეხუთე სამიზნე ცნება „სხვადასხვა ეპოქის/კულტურის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/მხატვრული მახასიათებლები“. რჩევა: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმების გაწერისას ყველა საფეხურზე და კლასში უნდა დამუშავდეს სავალდებულო თემატური ბლოკები, VI კლასის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმის გაწერისას ყურადღება მიექცეს სამიზნე ცნებებს და ხუთივე სამიზნე ცნება იქნას დამუშავებული, რათა სრულად შეესაბამებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. ასევე უნდა იყოს ყველა კლასის კურილიმის ჩარჩოში სრულად დაფარული ყველა თემატური ბლოკები.

სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში წარმოდგენილია შემოქმედებითი (კომპლექსური) ბუნების დავალებები, რომლებშიც გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები. კურიკულუმებზე მუშაობს კათედრა სპეც. მასწავლებელთან ერთად. სახელმწიფო ენის კათედრის წევრებთან ინტერვიუირებისას გაიცა რიგი რჩევებუ კურიკულუმების სრულყფოდილი სახით ჩამოყალიბების მიზნით. ვიზიტის ფარგლებში მასწვალებლებმა გაითვალისწინეს ჩემ მიერ გაცემული კონკრეტული რჩევები და ხელახლა გადმოგზავნილ კურიკულუმებში უმეტესწილად აისახა შესაბამისი რჩევები, მათ ასევე აღნიშნეს, რომ ამ რჩევებს გამოიყენებენ მომდევნო წლის კურიკულუმის შექმნის პროცესშიც.

მათემატიკა	სკოლის მათემატიკის კურიკულუმები I–XII კლასებისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის სამიზნე ცნებების სტრუქტურაზე დაყრდნობით არის შედგენილი. ყველა საფეხურზე იკვეთება მცდელობა, რომ სასწავლო პროცესი მოსწავლეზე ორიენტირებულად დაიგეგმოს. კონტექსტური მაგალითები და დავალებათა იდეები ისეა შემუშავებული, რომ მათემატიკური საკითხები მოსწავლის პრაქტიკულ გამოცდილებას დაუკავშირდეს. ამის ნათელი მაგალითებია: • I კლასი: „ნაცარქექიას სახლის აპლიკაცია“; • II კლასი: „მეგობრის მისამართის გამოცნობა”; • III კლასი: „პატარა ფინანსისტი“; • VII კლასი: „პაროლის შექმნა”; • VIII კლასი: „საოჯახო ბიზნესიდეა”; • X კლასი: „საბანკო სესხის პროცენტი”; • XII კლასი: „სტიქიური მოვლენების ანალიზი”. აღნიშნული მიდგომა ადასტურებს მასწავლებელთა გუნდის ერთიან ძალისხმევას მათემატიკა ყოველდღიურ სიტუაციებთან იყოს ინტეგრირებული. მიუხედავად ამისა, IV კლასის კურიკულუმში და „დავალების იდეის” სვეტები თითქმის ყველა თემაში ცარიელია, გარდა 1 თემისა. ანალოგიური ვითარებაა VI და IX კლასშიც,

	შესაბამისად, ამ კლასებში რთულია იმის შეფასება, თუ რამდენად ეფუძნება სასწავლო პროცესი მოსწავლის რეალურ გამოცდილებას. რჩევა: მიზანშეწონილია IV, VI და IX კლასების კურიკულუმებში შეივსოს კონტექსტური მაგალითებისა და დავალებათა იდეების სვეტები. სასურველია, კონტექსტები ადგილობრივ სპეციფიკას - სოფელ ჩაქვისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის რეალობას - მოერგოს (მაგალითად: სანაპირო ზოლის ფართობის გაზომვა, ტურისტული ნაკადების სტატისტიკა და ა.შ.). გარდა ამისა, საჭიროა ტექნიკური ერთიანობის უზრუნველყოფა: დაინერგოს სამივე საფეხურზე საერთო სტანდარტი კურიკულუმებში სვეტების სათაურებისთვის, ცხრილების ფორმატისთვის და ტექსტის სიდიდისთვის. ერთნაირი შაბლონი დოკუმენტს უფრო გასაგებს და გამოსაყენებელს გახდის.
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ სამივე საფეხურის კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. წარმოდგენილი დავალებები მოიცავს,ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სამიზნე ცნებებს, შერჩეული თემები ორიენტირებულია ბავშვის ფიზიკური განვითარების, ცხოვრების ჯანსაღი წესის, ორგანიზებულობისა დათვითკონტროლის განვითარებაზე. ქვეცნებები და ქვესაკითხები შეესაბამება ერთმანეთს და ითვალისწინებს თითოეული მოსწავლის უნარებს.

ტექნოლოგიები	საგანში - კომპიუტერული ტექნოლოგიები, კურიკულუმის ჩარჩო სრულად შეესაბამება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. II-VI კლასების კურიკულუმები ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კომპლექსური დავალებების იდეები ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას და მორგებულია მათ ცხოვრებისეულ გამოცდილებას. სასკოლო სასწავლო გეგმის შინაარსი და განხორციელებული პრაქტიკა ქმნის გარემოს, რომელიც ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის შესაძლებლობების გამოვლენასა და თანაბარ განვითარებას. აშკარაა სკოლისა და
	პედაგოგების მზაობა, სწორად წარმართონ სასწავლო პროცესი, ორიენტირდნენ გრძელვადიან მიზნებზე და სასწავლო შედეგები საფეხურის დონეზე განსაზღვრონ.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ შემუშავებული დაწყებით საფეხურის კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მოცემულ კურიკულუმის ჩარჩოებში არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გაწერილია შესაბამისი საგნის (ბუნებისმეტყველება, ქართული, მათემატიკა, მე და საზოგადოება) სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და სასწავლო რესურსები. კურიკულუმების ჩარჩოებში აგრეთვე ასახულია შუალედური სასწავლო მიზნები-შემოქმედებითი დავალების იდეა/პირობის დასახელებით. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დაგეგმვისას ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებასა და მოსწავლეთა საჭიროებებს. შესაბამისად კურიკულუმის მიხედვით სწავლება ეფუძნება მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას და ცხოვრებისეული გამოცდილების გათვალისწინებას. ინტერვიუს დროს მიღებული რჩევები კურიკულუმთან დაკავშირებით გაითვალისწინეს ვიზიტის შემდგომ გადმოგზავნილ კურიკულუმებში.

ინდიკატორია 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	ჩაქვის №2 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების ანალიზი ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესი ეფექტურად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. დოკუმენტაცია ხასიათდება შემდეგი პოზიტიური ასპექტებით: კურიკულუმების უმრავლესობაში მკაფიოდ არის გაწერილი სამიზნე ცნებები, როგორც სწავლების გრძელვადიანი ორიენტირები. შერჩეული საკითხები ლოგიკურ კავშირშია დასახულ მიზნებთან.

	საბაზო და საშუალო საფეხურის ბიოლოგიის კურიკულუმები სრულ შესაბამისობაშია მოქმედ სტანდარტთან. ასევე, ფიზიკის, ქიმიისა და ბუნებისმეტყველების კლასების უმეტესობა მეთოდოლოგიურად სწორად არის სტრუქტურირებული. დაწყებით საფეხურზე (III-IV კლ.) წარმოდგენილი თემები შინაარსობრივად ფარავს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მასალას, თუმცა მათი სტრუქტურირება მეტწილად ეყრდნობა სახელმძღვანელოს თავებს და არა უშუალოდ მესამე თაობის ესგ-ის თემატურ ჩარჩოს. მიუხედავად საერთო დადებითი ტენდენციისა, კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში ვლინდება მეთოდოლოგიური ხასიათის შეუსაბამობები: • დაწყებით საფეხურზე (III-IV კლ.) წარმოდგენილი სამიზნე ცნებები არ შეესაბამება მესამე თაობის ესგ-ის მიერ ამ საფეხურისთვის განსაზღვრულ ცნებებს, რაც არღვევს კურიკულუმის შექმნის ძირითად პრინციპს — სწავლის შედეგების მიმართებას სახელმწიფო სტანდარტის ორიენტირებთან. • საბაზო საფეხურის ზოგიერთ მატრიცაში გამოტოვებულია და არ მუშავდება ფუნდამენტური სამიზნე ცნებები. კერძოდ: მე-8 კლასის ქიმიაში უგულებელყოფილია სამიზნე ცნება „ელემენტთა პერიოდულობის ცხრილი“, ხოლო მე-9 კლასის ფიზიკის პირველ თემაში: „არათანაბარი და მრუდწირული მოძრაობა“ არ მუშავდება ცნება „ენერგია და ურთიერთქმედება“. რჩევა • გადაიხედოს დაწყებითი საფეხურის, კერძოდ, (III -IV კლასები) კურიკულუმები და განხორციელდეს მათში მესამე თაობის ესგ-ის შესაბამისი სამიზნე ცნებების ინტეგრირება, რათა დაგეგმვა დაეყრდნოს სახელმწიფო სტანდარტს.

	▯ საბუნებისმეტყველო კათედრამ უზრუნველყოს ქიმიისა (VIII კლ.) და ფიზიკის (IX კლ.) კურიკულუმების შევსება გამოტოვებული სამიზნე ცნებებით, რაც აუცილებელია სწავლის შედეგების სრულყოფილად მისაღწევად.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში სასწავლო პროცესი ძირითად შემთხვევაში დაგეგმილია სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემების მიხედვით და განსაზღვრულია გრძელვადიან მიზნებზე მუშაობა შემოქმედებითი ტიპის ან პროექტული დავალებებით. რჩევა: სასურველია დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე საგნობრივ კურიკულუმებში (მე და საზოგადოება; ჩვენი საქართველო; ისტორია; გეოგრაფია; მოქალაქეობა) საკითხების, შუალედური მიზნების/შემოქმედებითი დავალებების გასწვრივ მითითებული იყოს თუ რომელი გრძელვადიანი მიზანი მუშავდება, რათა სასწავლო პროცესში ვუზრუნველყოთ სწავლის შედეგების მიღწევა. აღნიშნულ კურიკულუმებში მოცემულია საკითხები, შუალედური მიზნები და არ არის კონკრეტულად მითითებული თუ რომელი საკითხი, შუალედური მიზანი რომელ სამიზნე ცნებას/ცნებებს ამუშავებს.

უცხოური ენები	სკოლა, წარმოდგენილი კურიკულუმის განვითარების დოკუმენტში მკაფიოდ აღწერს, რომ კურიკულუმი არის დოკუმენტი, რომელიც წარმოაჩენს „გზას“, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება სთავაზობს მოსწავლეს პიროვნული განვითარებისთვის. მის განსახორციელებლად, კი სკოლამ წარმოადგინა გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული კომპლექსური ტიპის დავალებები, ამ დავალებების შესასრულებლად კი განსაზღვრა გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები. მიღებული ცოდნის შესაფასებლად კი გამოიყენა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება რომელსაც დაურთო შეფასების რუბრიკები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის მიერ უცხოურ ენაში წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები ზოგად ხასიათს ატარებდა და კარგი იქნებოდა, კონკრეტულ ინსტრუმენტებთან თანმხლები შეფასების რუბრიკები ხილვა, რათა

	მკაფიოდ დაგვენახა განსაზღვრული მიზნების შესრულების დინამიკა თუმცა აქვე დავსძენ, რომ სკოლის მიერ მათი სწორად გამოყენების შესაძლებლობებში ეჭვი არ შემაქვს.

ესთეტიკური აღზრდა	შექმნილი კურიკულუმები (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზანს, სასწავლო კურიკულუმებში გაწერილი სამიზნე ცნებები მოსწავლეებს აძლევს საშუალებას საკუთარ გამოცდილებასთან გამოიყენოს ახალი ცოდნა და უნარები. თუმცა იკვეთება ცალკეულ კლასებთან მიმართებაში გარკვეული ხარვეზები. მუსიკა: კურიკულუმები ითვალისწინებს გრძელვადიანი მიზნებს, რომლებიც მოცემულია ეროვნულ სასწავლო გეგმაში. კურიკულუმში მოცემულია ის თემები, რომელიც გათვალისწინებულია საგნობრივი სტანდარტების მიხედვით. ხელოვნება: შექმნილი კურიკულუმები (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზანს, სასწავლო კურიკულუმებში გაწერილი სამიზნე ცნებები მოსწავლეებს აძლევს საშუალებას საკუთარ გამოცდილებასთან გამოიყენოს ახალი ცოდნა და უნარები. თუმცა იკვეთება ცალკეულ კლასებთან მიმართებაში გარკვეული ხარვეზები. დაწყებითი საფეხური: VI კლასებში არ მუშავდება მეხუთე სამიზნე ცნება „სხვადასხვა ეპოქის/კულტურის ხელოვნების სახასიათო ნიშნების/მხატვრული მახასიათებლები“ რჩევა: გადამუშავდეს VI კლასში ცნება სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში დამუშავდეს მეხუთე სამიზნე „სხვადასხვა ეპოქის/კულტურის ხელოვნების სახასიათო ნიშნების/მხატვრული მახასიათებლების“ რათა სრულად შეესაბამებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნას.
სახელმწიფო ენა	კათედრა სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გამოკვეთს ისეთ თემატიკას, რომელზე მუშაობაც ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნებისა და შემოქმედებითობის უნარების განვითარებას.

	ამაზე მეტყველებს ყველა კლასში მრავლად დაგეგმილი შემოქმედებითი ბუნების დავალებები, ასევე პროექტები და წრეები, რომლებშიც მუშაობენ მოსწავლეები.
მათემატიკა	I–XII კლასების მათემატიკის კურიკულუმები სტრუქტურულად სრულ შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან. ყველა საფეხურზე მკაფიოდ არის გამოყოფილი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, კანონზომიერებები და ლოგიკური კავშირები. სასწავლო პროგრამა საფეხურების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება: • დაწყებით საფეხურზე (I–VI): კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ძირითად შინაარსობრივ კატეგორიებს, როგორიცაა ნატურალური და რაციონალური რიცხვები, გეომეტრია და მონაცემთა ანალიზი. • საბაზო საფეხურზე (VII–X): შეინიშნება მასალის თანდათანობითი გართულება. კერძოდ: ○ VII კლასში აქცენტი კეთდება დადებით და უარყოფით რიცხვებზე, სიმრავლეებსა და პროცენტზე; ○ VIII კლასში შემოდის პითაგორას თეორემა და ალბათობის თეორია; ○ IX-X კლასში კი - კვადრატული განტოლება, ფუნქცია და ტრიგონომეტრიის საფუძვლები. • საშუალო საფეხურზე: პროგრამა სრულად ფარავს ესგ-ით გათვალისწინებულ რთულ საკითხებს: ლოგარითმულ და მაჩვენებლიან ფუნქციებს, სტერეომეტრიას, კომბინატორიკასა და ალბათობას.

სპორტი	წარმოდგენილი კურიკულუმები და მასში მოცემული თემები საშუალებას აძლევს მიაღწიონ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. მოცემული თემები, დავალებები, ქვეცნებები და საკითხები ისეა შერჩეული, რომ მოსწავლეს დაეხმაროს ფიზიკური თვისებების განვითარებაში, ორგანიზება და თვით კონტროლში, ჯანსაღი ცხოვრების წესის ჩამოყალიბებაში.
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი კურიკულუმი წარმოადგენს ეროვნული სასწავლო გეგმის რეალიზების გზას. ის ფოკუსირებულია 7 სამიზნე ცნებაზე, იყენებს კომპლექსური დავალებების
	მეთოდოლოგიას და უზრუნველყოფს მოსწავლის ეტაპობრივ განვითარებას დაწყებით საფეხურზე. პროგრამა ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე და არა მხოლოდ ერთჯერადი აქტივობების შესრულებაზე. კურიკულუმი აგებულია სპირალური პრინციპით. მაგალითად, ცნება „ალგორითმი“ II კლასში იწყება პირობითი ნიშნებით, III-IV კლასებში გადადის ვიზუალურ კოდირებაში, ხოლო V-VI კლასებში რთულდება ლოგიკური ოპერატორებითა და ციკლებით. თითოეული სამიზნე ცნება (მაგ: ინტერფეისი, ციფრული მოქალაქეობა) გაშლილია რეალურ ცხოვრებასთან დაკავშირებული საკითხების მეშვეობით, რაც ესგ-ს ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნაა. რჩევა: სასურველია უფრო მკაფიოდ გამოჩნდეს კავშირი საგნობრივი სტანდარტის კონკრეტულ შედეგებთან (მაგ. კ.ტ.დაწყ.1.1.)

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით (თვითშეფასება, კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია) და ინტერვიუთი დასტურდება, რომ დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესი ხორციელდება კურიკულუმის შესაბამისად. კურიკულუმების ჩარჩოები ორიენტირებულია და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე, დაწყებითი საფეხურის ფარგლებში, სტანდარტებში წარმოდგენილი შედეგების და სამიზნე ცნებების სახით. გაწერილი შემოქმედებითი ბუნების დავალებები ორიენტირებულია თემის შესაბამის მიზანზე.

ინდიკატორია 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია

3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში რესურსების ნაწილი ძირითადად დათმობილი აქვს გრიფირებულ სახელმძღვანელოებსა და დამხმარე ლიტერატურას. მაგათილად,დაწყებით საფეხურზე (I-VIკლ.)რესურსები (მაკეტის მასალები, დღიურები)

	მრავალფეროვანია და მორგებულია შემოქმედებით დავალებებს. ურიკულუმებში მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსები ჩაშენებულია ბმულების სახით. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ დაწყებით და საბუნებისმეტყველო კათედრაზე სასწავლო წლის დასაწყისში ხდება საგანმანათლებლო რესურსების ერთობლივად შერჩევა/განხილვა და სასწავლო პროცესში დანერგვა.

საზოგადოებრივი მეცნიერებები	საგნობრივი კურიკულუმებით გათვალისწინებული რესურსები ძირითად შემთხვევაში უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. ძირითად რესურსად წარმოდგენილია გრიფირებული სახელმძღვანელოები და ასევე დამატებით რესურსად სხვადასხვა ვიდეორგოლები, ტელესკოლის გაკვეთილები, სატელევიზიო რეპორტაჟები, დოკუმენტური ფილმები და ა.შ.
უცხოური ენები	მიუხედავად იმისა, რომ უცხოური ენის კათედრის სხდომის დოკუმენტში, პედაგოგებმა აღნიშნეს მრავალფეროვანი რესურსების გამოყენების შესახებ, სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ძირითადად მოცემული იყო გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო და იუთუბის ლინკი. რაზეც სკოლას მივეცი რჩევა და გაწერილია რჩევის ნაწილშიც, რომ უცხოურ ენაში არსებული უსაზღვრო რესურსები ჩაერთოთ კურიკულუმის განხორციელების პროცესში, რაზეც პედაგოგების თანხმობა მივიღე.
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკის კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევებს. მუსიკა: კურიკულუმში მითითებულია სასწავლო რესურსები, რაც აადვილებს მიზნების მიღწევას.

	ხელოვნება: მეცხრე კლასის კურილუმში, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, არ არის რესურსები მითითებული, სასურველია ყველა კლასის კურიკულუმში მითითებული იყოს რესურსები. რჩევა: კიდევ ერთხელ გადაიხედოს რესურსებისათვის განკუთვნილი გრაფა. მიუთითებელი ველები ყველგან უნდა შეივსოს. ასევე რეკომენდებულია მოყვანილი რესურსების ვალიდურობის გადამოწმება, მათ უნდა ჰქონდეთ პირდაპირი კავშირი როგორც თემასთან, ისე შემოთავაზებულ დავალებებთან. გარდა ამისა, ელექტრონული ბმულები, რომლებიც ამ ეტაპზე არ იხსნება, უნდა გააქტიურდეს ან ჩანაცვლდეს მოქმედი ბმულებით.
სახელმწიფო ენა	კურიკულუმით დასახული მიზნების მისაღწევად სახელმწიფო ენაში სკოლა იყენებს გრიფირებულ სახელმძვანელოებს, ელექტრონულ რესურსებს, პლაკატებს, სქემებს და ა.შ. ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. რესურსები ასახულია კურიკულუმებში.

მათემატიკა	კურიკულუმებში ასახულია სასწავლო რესურსების გამოყენების ზოგადი ხედვა და სურვილი, რომ ისინი დაეხმაროს მოსწავლეს სასწავლო შედეგების მიღწევაში, სამივე საფეხურის კურიკულუმებში რესურსების სვეტი შევსებულია და მოიცავს როგორც ბეჭდურ, სამივე საფეხურის კურიკულუმში „სასწავლო რესურსების“ სვეტი სრულად არის შევსებული და მოიცავს როგორც ბეჭდურ, ისე ციფრულ მასალას. ყველა კლასში ძირითად რესურსად მითითებულია შესაბამისი გრიფირებული სახელმძღვანელოები კონკრეტული გვერდების მითითებით: • I–II კლასები: „სულაკაურის გამომცემლობა“; • III–VI კლასები: გოგიშვილი, ვეფხვაძე და სხვ; • VII–VIII კლასები: ბექაური, საგინაშვილი; • IX–XII კლასები: ვეფხვაძე, გოგიშვილი და სხვ. (გამომცემლობა „ინტელექტი“). კურიკულუმებში აქტიურად არის გამოყენებული დამხმარე ციფრული პლატფორმები: YouTube (I–VI კლ.), Khan Academy (V–VI, VIII, X–XII კლ.), „ტელესკოლა“ (IV–V, VII–IX კლ.), GeoGebra და Desmos (VI–VII კლ.), iSkola (VIII კლ.) და El.ge (X–XII კლ.). განსაკუთრებით აღსანიშნავია II კლასის კურიკულუმი, სადაც მითითებულია დიფერენცირების ფურცლები

	კონკრეტული ნომრებით (1ა–76ბ), რაც მასწავლებლის პრაქტიკულ მიდგომასა და მეთოდურ მრავალფეროვნებაზე მიუთითებს. რჩევა: სასურველია რესურსების მითითების ერთიანი სტილის ჩამოყალიბება სამივე საფეხურზე, დაკონკრეტდეს თემა-საკითხის მიხედვით (მაგ. შესაძლოა ყველა რესურს გაუკეთდეს მსგავსი აღწერა: „ხანის აკადემიის ვიდეო: URL მისამართი; თემა: სამკუთხედების მსგავსება)

სპორტი	სკოლას აქვს და იყენებს სპორტულ ინვენტარს და რესურსებს, რაც კურიკულუმებში მოცემული თემების განხორციელებისთვის აუცლებელია. კერძოდ სხვადასხვა სპორტის სახეობის ბურთები, ბადეები, ჩოგნები და სხვა სპორტული ინვენტარი გამოყენებულია კურიკულიმში გაწერილი თემების შესაბამისად. აითვისონ და გააღრმავონ სხვდადასხვა სპორტის სახეობები, ივარჯიშონ და განავითარონ ფიზიკური თვისებები.
ტექნოლოგიები	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები სრულად პასუხობს ესგ-ს მიზნებს. ისინი უზრუნველყოფენ მოსწავლის აქტიურ ჩართულობას და საშუალებას აძლევენ მას, შექმნას კომპლექსური დავალებით გათვალისწინებული პროდუქტი. რესურსების შერჩევისას დაცულია შინაარსობრივი ვალიდობა — გამოყენებულია მხოლოდ ის ინსტრუმენტები, რომლებიც უშუალოდ ემსახურება სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას. რესურსები პირდაპირ არის მიბმული სამიზნე ცნებებთან. მაგალითად, Scratch-ი გამოიყენება „ალგორითმისა" და „პროგრამული კოდის" გასააზრებლად, ხოლო Excel-ი — „ინფორმაციისა" და „ინტერფეისისთვის". რესურსები შერჩეულია მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დოკუმენტაციის შესწავლისას დასტურდება რომ, კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო და საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. როგორც გამოიკვეთა დაწყებითი კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროს ნაწილ კურიკულუმების კონცეპტუალურ ჩარჩოებში არ არის ასახული მრავალფეროვანი საგანმანათლებლო და

	სასწავლო რესურსები, რასაც კათედრის მასწავლებლების უმრავლესობა იყენებს სასწავლო პროცესში. რჩევა: სასურველია ყველა რესურსი, რასაც იყენებენ თემის დამუშავების პროცესში ასახონ კურიკულუმში არსებულ სვეტში „სასწავლო რესურსები“. სასურველია დამატებითი რესურსების უფრო დეტალური და კონკრეტული ჩამონათვალის შეტანა.

ინდიკატორია 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაცია გვაძლევს იმის თქმის საშუალებას ,რომ კლასებში დაგეგმილი აქტივობები და რესურსები მორგებულია მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებზე, რაც ქმნის სწავლისა და განვითარების მკაფიო გზას. სკოლაში არსებული პრაქტიკა აჩვენებს პედაგოგების მზაობას, სასწავლო პროცესი წარმართონ კომპლექსური და შემოქმედებითი მიდგომებით. სკოლაში სასწავლო პროცესი ეფუძნება ინკლუზიური განათლების პრინციპებს, რაც დასტურდება 11 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლისთვის შექმნილი გარემოთი. კერძოდ,დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და განხორციელებული აქტივობები მიუთითებს შემდეგზე: სკოლას აქვს გამართული ადმინისტრაციული მექანიზმი — არსებობს შესაბამისი პედსაბჭოს ოქმები და თითოეული სსსმ მოსწავლისთვის შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმები (ისგ). სკოლის ხედვა ასახულია შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმაში, რაც მიუთითებს ინკლუზიური გარემოს განვითარების გრძელვადიან მზაობაზე.

	სკოლა აქტიურად მუშაობს მოსწავლეთა სოციალიზაციაზე, რაც დასტურდება განხორციელებული პროექტით/ღონისძიებით - „ჩვენი ხმა სოციუმს“. აღნიშნული აქტივობა ხაზს უსვამს სკოლის ორიენტირებულობას ინკლუზიური კულტურის ამაღლებაზე. მოსწავლეთა აკადემიური საჭიროებების დასადგენად ჩატარებულია სადიაგნოსტიკო წერები ფიზიკაში, რაც დიფერენცირებული სწავლების დაგეგმვის წინაპირობაა. პოზიტიური პრაქტიკის მიუხედავად, ვლინდება მეთოდოლოგიური და ტექნიკური ხასიათის შეუსაბამობები: ფიზიკის სადიაგნოსტიკო წერების ანალიზი არ არის დაკავშირებული სამიზნე ცნებებთან. შეფასება, რომელიც არ მიემართება გრძელვადიან ცნებებს, ვერ უზრუნველყოფს მოსწავლის განვითარების დინამიკის სრულყოფილ ასახვას მესამე თაობის ესგ-ის მიხედვით. რჩევა: სადიაგნოსტიკო წერების ანალიზისას მასწავლებლებმა გამოიყენონ სამიზნე ცნებებთან მიმართება, რათა ნათელი გახდეს, თუ რომელ კონკრეტულ ცნებაში (მაგ. „მატერია“, „ენერგია“) სჭირდება მოსწავლეს დამატებითი მხარდაჭერა.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები მოიცავს გარკვეული საკითხების შესწავლას შემოქმედებითი ტიპის დავალებებით, რომლებზეც მუშაობა ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ ინკლუზიურ მიდგომებს. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ შემოქმედებითი ტიპის დავალებებზე მუშაობის დროს ითვალისწინებენ თითოეული მოსწავლის ინტერესსა და შესაძლებლობებს.

უცხოური ენები	სკოლამ წარმოადგინა დიფერენცირებული მეთოდით სასწავლო პროცესისთვის საჭირო ისგ გეგმები. აგრეთვე 2025-2026 სასწავლო წლის I სემესტრის ანგარიშის მიხედვით სსიპ ჯემალ არძენაძის სახელობის ჩაქვის N2 საჯარო სკოლიში ირიცხება 10 სსსმ მოსწავლე. თითოეულ მოსწავლეზე კლასის დამრიგებელმა, საგნის მასწავლებლებმა და სპეცმასწავლებლებმა მულტიდისციპლინური გუნდის დასკნაში მითითებული რეკომენდაციების შესაბამისად შეიმუშავეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, სადაც გაითვალისწინეს ეროვნული

	სასწავლო გეგმის სტანდარტი და მოსწავლის შესაძლებლობები. დასკვნაში ხაზგასმულია რესურს ოთახისა და მრავალფეროვანი რესურსების გამოყენების შესახებ.
ესთეტიკური აღზრდა	ხელოვნებისა და მუსიკის სასწავლო პროგრამების ანალიზმა აჩვენა, რომ შეთავაზებული აქტივობები მრავალმხრივი და ინტეგრირებული ხასიათისაა. ეს მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას, საკუთარი ცოდნა, შეხედულებები და დამოკიდებულებები გამოხატონ მათთვის მისაღები და კრეატიული ფორმებით. მასწავლებლებთან ჩატარებული გასაუბრებები მიუთითებს, რომ სასწავლო პროცესში დავალებები ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს: ხდება სამუშაო პირობების შეგნებული მოდიფიცირება, სირთულის ხარისხის დარეგულირება და შესაბამისი რესურსების შერჩევა თითოეული მოსწავლის შესაძლებლობების გათვალისწინებით.
სახელმწიფო ენა	კათედრა დიფერენცირებულ მიდგომებს იყენებს, პედაგოგები იყენებენ მრავალფეროვან და მოსწავლეზე მორგებულ მიდგომებს, რაც ინდ.გეგმებში აისახება. დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ მოსწავლეებს ეძლევათ არჩევანის თავისუფლება.

მათემატიკა	წარმოდგენილ მათემატიკის კურიკულუმებში სამივე საფეხურზე ინკლუზიური სწავლებისა და დიფერენცირებული მიდგომების შესახებ პირდაპირი მითითება არ მოიძიება, გარდა მე-2 კლასისა. ამასთანავე, სკოლაში არსებობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის შედგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, თუმცა მათ და საგნობრივ კურიკულუმებს შორის კავშირი დოკუმენტურად არ ჩანს. რჩევა: მიზანშეწონილია სკოლამ უზრუნველყოს, რომ საგნობრივი კურიკულუმი და ინდივიდუალური სასწავლო გეგმები ერთმანეთთან შეთანხმებული იყოს და მასწავლებლებს ჰქონდეთ სხვადასხვა საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობის კონკრეტული სტრატეგიები.
სპორტი	მასწავლებლებისათვის ცნობილია სწავლის დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები. მასწავლებლებმა წარმოადგინეს სსმ მოსწავლის ინდივიდუალური გეგმა. დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე სწავლა მორგებულია მოსწავლის
	ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე, რაც განაპირობებს ბავშვის მაქსიმალურად ჩართვას სასწავლო პროცესში. მასწავლებლები ითვალისწინებენ ყველა ბავშვის ფიზიკურ თუ ინტელექტუალურ შესაძლებლობებს, კერძოდ მოსწავლეები იღებენ ინდივიდუალურ დავალებებს, სადაც უნდა შეასრულონ სხვადასხვა მოძრაობა ან ვარჯიში, მოსწავლის შესაძლებლობიდან.
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია იმგვარად, რომ ითვალისწინებს მოსწავლეთა განსხვავებულ მზაობას, ინტერესებსა და სწავლის სტილს. კომპლექსური დავალებების პირობებში ჩადებულია არჩევანის შესაძლებლობა. მაგალითად, მე-2 კლასში „უბნის მაკეტის“ შექმნისას, მოსწავლეს შეუძლია აირჩიოს როგორც ციფრული ინსტრუმენტი (Paint 3D), ისე ფიზიკური მასალები (მუყაო, პლასტილინი). პროცესი ორიენტირებულია იმაზე, რომ არცერთი მოსწავლე არ დარჩეს სწავლის მიღმა და თითოეულმა შეძლოს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების გააზრება საკუთარი ტემპითა და შესაძლებლობებით.

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მათ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ დაგეგმილ აქტივობებში, სთავაზობენ დიფერენცირებულ მიდგომებსა და მათთვის საინტერესო, მოდიფიცირებულ და მრავალფეროვან რესურსებს. ასევე, ინტერვიუდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ნათელი გახდა, რომ პედაგოგები ითვალისწინებენ მოსწავლეთა საჭიროებებს და მოსწავლეებს სთავაზობენ ალტერნატიულ გზებს შემოქმედებითი ბუნების დავალების პროდუქტის შესაქმნელად.

ინდიკატორია 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია

5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სსიპ - ჯემალ არძენაძის სახელობის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაქვის №2 საჯარო სკოლაში მოსწავლის შეფასების სისტემა ორიენტირებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებზე, რაც გულისხმობს სწავლებისა და შეფასების პროცესის ერთიანობას. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ხასიათდება შემდეგი პოზიტიური ასპექტებით: სკოლის მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტები, კერძოდ მესამე და მეექვსე კლასების ბუნებისმეტყველების რუბრიკები, სრულ თანხვედრაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. ასევე, საბაზო და საშუალო საფეხურის შეფასების სისტემა მეთოდოლოგიურად გამართულია და პასუხობს სწავლის მიზნებს. პედაგოგების მიერ შემუშავებული რუბრიკები ადასტურებს, რომ სკოლაში დანერგილია მოსწავლის წინსვლის აღწერისა და ხარისხიანი უკუკავშირის გაცემის პრაქტიკა, რაც კონსტრუქტივისტული სწავლების უმნიშვნელოვანესი ნაწილია. დაწყებით საფეხურზე (I-II და V კლ.) წარმოდგენილი რუბრიკები შინაარსობრივად მიემართება საგნობრივ საკითხებს, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების აღრიცხვას. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს. რჩევა • სასურველია პირველი და მეორე კლასის განმავითარებელ რუბრიკებში თემები კიდევ უფრო მკაფიოდ დაუკავშირდეს ყველა შესაბამის სამიზნე ცნებას, რათა შეფასება გახდეს უფრო კომპლექსური და მრავალმხრივი. ასევე, მიზანშეწონილია შედეგების მიღწევის ინდიკატორების უფრო დეტალური ასახვა რუბრიკებში. • მეხუთე კლასის ბუნებისმეტყველების როგორც განმავითარებელ, ისე განმსაზღვრელ რუბრიკებში, სასურველია აქცენტი გადავიდეს თემებზე (ესგ-ის მიხედვით) და არა მხოლოდ სახელმძღვანელოს თავებზე, რაც შეფასების სისტემას უფრო სტანდარტიზებულს გახდის.

საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრამ დამატებით მოთხოვნილ დოკუმენტებში წარმოადგინა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ზოგადი რუბრიკები საგნების მიხედვით, ძირითად შემთხვევაში აღნიშნული რუბრიკები ეფუძნება სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემების ფარგლებში მოცემულ სწავლის შედეგების მიღწევის ინდიკატორებს. რჩევა: სასურველია დაწყებით საფეხურზე მე და საზოგადოებისა და „ჩვენი საქართველოს“ საგნების ფარგლებში განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შეიქმნას კონკრეტული შუალედური მიზნებისთვის/დავალებებისთვის, სადაც მკაფიოდ იქნება წარმოჩენილი თუ როგორ მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრელვადიანი მიზნები, ასევე აღინიშნება სამიზნე ცნების/ცნებების შინაარსიდან გამომდინარე თუ რა უნდა შეძლოს მოსწავლემ დავალების ფარგლებში და რაზე უნდა გაამახვილოს ყურადღება, რა რეკომენდაციები, რჩევები უნდა გაითვალისწინოს.
უცხოური ენები	სკოლამ წარმოადგინა ეროვნულ სტანდარტებთან შესაბამისობაში არსებული შეფასების ინსტრუმენტები.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების წარმოდგენილ ინსტრუმენტებში იკვეთებოდა ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალობა, სამართლიანობა და ობიექტურობა.

ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკის კათედრის პედაგოგებმა წარმოადგინეს როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების პრაქტიკა. ისინი შეფასების პროცესში იყენებენ შესაბამის ინსტრუმენტებსა და რუბრიკებს, რომლებიც აგებულია გრძელვადიან სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებზე. მუსიკა: სკოლის დოკუმენტაციაში წარმოდგენილი რუბრიკები ერთდროულად განსაზღვრავენ და განვითარებას უწყობენ ხელს, ისინი თემების მიხედვითაა აგებული და აფასებს მოსწავლის ცოდნასა და უნარებს ცნებებთან მიმართებით. ხელოვნება: დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სკოლაში წარმატებით ხორციელდება მოსწავლეთა განმავითარებელი და განსაზღვრელი შეფასების პრაქტიკა.
სახელმწიფო ენა	სწავლებისას კათედრა იყენებს როგორც განმავითარებელ, ასევე განმსაზღვრელ შეფასებებს. წარმოდგენილ დამატებით მოთხოვნილ დოკუმენტაციაში, კერძოდ, შეფასების რუბრიკებში

	ნაკლებად იყო ასახული მე-3 თაობის ესგ-ს ინდიკატორები თითოეულ ცნებასთან მიმართებით. დამატებით გამოგზავნილ დაწყებითი საფეხურის დოკუმენტაციაში ზემოთქმული მეტ-ნაკლებად გათვალისწინებულია. კათედრას მიეცა რჩევა, შეფასების რუბრიკების შექმნისას დაეყრდნონ მე-3 თაობის ესგ ინდიკატორებსა და იმ კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმებს, რომლისთვისაც იქმნება რუბრიკა, ანუ მეტად წარმოჩინდეს რუბრიკაში თითოეულ ცნებასთან მიმართებით რა ფასდება დავალებაში. რჩევა: შეხვედრის შემდგომ გამოგზავნილ რუბრიკებში ეს რჩევა მეტ-ნაკლებად გათვალისწინებულია, კათედრამ უნდა იმუშაოს კონკრეტული დავალებების შეფასების რუბრიკების შექმნაზე.

მათემატიკა	სკოლამ წარმოადგინა შეფასების რუბრიკა, რომელიც მოიცავს განმავითარებელი, საშინაო დავალებისა და დამოუკიდებელი მუშაობის კომპონენტებს. განმავითარებელ რუბრიკაში გამოყოფილია სამი დონე (მაღალი, საშუალო, დაბალი) და მოცემულია კონკრეტული კრიტერიუმები: გაკვეთილში ჩართულობა, კითხვებზე პასუხი, პრაქტიკული საქმიანობა. განმსაზღვრელი ელემენტი — დამოუკიდებელი მუშაობის შეფასება — ასევე სამ დონეადაა სტრუქტურირებული (კარგად / ნაწილობრივ / სჭირდება დახმარება) და ეფუძნება ამოცანის გაგებას, ამოხსნის ეტაპებს და გამოსახულებით ამოხსნას. შემოთავაზებულია ასევე მოსწავლეთა თვითშეფასების ბარათი (დანართი 2) და გასასვლელი ბილეთი (დანართი 3). თუმცა წარმოდგენილი რუბრიკა ეხება ერთ კონკრეტულ თემას (მრავალნიშნა რიცხვების შეკრება) და წარმოდგენილია ერთი ნიმუშის სახით. სხვა კლასებისა და თემებისთვის შეფასების რუბრიკები არ გვხვდება. ამასთანავე, რუბრიკა ზოგადი ხასიათისაა და ქობულეთის №2 სკოლის სპეციფიკური კონტექსტი მასში არ იკვეთება. რჩევა: მიზანშეწონილია სკოლამ შეიმუშაოს შეფასების რუბრიკები სხვადასხვა კლასისა და ძირითადი თემებისთვის, განსაკუთრებით საბაზო და საშუალო საფეხურებზე, სადაც
	ამჟამად ასეთი დოკუმენტები არ წარმოუდგენიათ. ასევე სასურველია შეფასების კრიტერიუმები ყველა კლასის მოსწავლეს თემის დაწყებამდე გაეცნოს.
სპორტი	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს, მასწავლებლები იყენებენ განმავითარებელ შეფასებას. როგორც სიტყვიერად ისე წერილობითი სახით, სადაც კარგად ჩანს ბავშვების განვითარება და პროგრესი. მასწავლებლებმა წარმოადგინეს შეფასების რუბრიკები.

ტექნოლოგიები	წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ მასწავლებლებს აქვთ შეფასების რუბრიკების შექმნის პრაქტიკული გამოცდილება. აშკარაა, რომ სკოლას ჩამოყალიბებული აქვს ხედვა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების წარმოების შესახებ, რაც სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების წინაპირობაა. რჩევა: არსებული რუბრიკები საჭიროებს მეტ კონკრეტიზაციას. ესგ-ს გრძელვადიან მიზნებთან შესაბამისობისთვის, მიზანშეწონილია SOLO ტაქსონომიის ინტეგრირება შეფასების პროცესში. ეს მიდგომა უზრუნველყოფს მოსწავლის აზროვნების განვითარების დონეების იდენტიფიცირებას და ხელს შეუწყობს თითოეული მოსწავლის პროგრესზე ორიენტირებული უკუკავშირის მომზადებას
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ასევე შემოქმედებითი ბუნების დავალებების მიხედვით გაწერილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.

ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები)
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების
მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები; საქაღალდე II სტანდარტი;
- დანართი -11; დანართო-12; დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის შეფასების რუბრიკები;
- დანართი N29; სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2025/2026) ;
- დანართი N23; კურიკულუმის განვითარეების მეთოდოლოგია;
- დანართი N6 -მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- დანართი -11; დანართი -10; დანართი -9; გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურებისთვის

- დანართი-25 სასკოლო სასწავლო გეგმა 2025–2026წ წ.
- კათედრის სხდომის ოქმები.
- დანართი N15 შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
- საქაღალდე 104. სსსმ მოსწავლეთა დოკუმენტაცია
- პდფ ფაილი- სსსმ მოსწავლეთათვის პროექტი,, ჩვენი ხმა სოციუმს“ საქაღალდე: ვიზიტის შემდეგ გამოგზავნილი

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)

○ ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	ჩაქვის №2 საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესის დაგეგმვა და განხორციელება მჭიდრო კავშირშია სასკოლო კურიკულუმებთან, რაც უზრუნველყოფს სწავლების კომპლექსურ და მრავალფეროვან მიდგომებს. პროცესი ხასიათდება შემდეგი დადებითი ასპექტებით: სკოლაში აქტიურად ინერგება პროექტული სწავლება, რაც დასტურდება განხორციელებული და დაგეგმილი ინტეგრირებული პროექტებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია პროექტი „გარემოზე თანადგომით ვქმნით მომავალს“, რომელიც წარმოდგენილია სრულყოფილი დოკუმენტაციით (გეგმა, რეფლექსია, ფოტომასალა). ასევე, მნიშვნელოვან როლს ასრულებს პროექტები: „ჯანსაღი ცხოვრება ჯანმრთელობის საწინდარია“ და „ჩემი ხმა სოციუმს“, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა სამოქალაქო და პიროვნულ განვითარებას. სკოლას აქვს სასწავლო პროცესის განხორციელებაზე დაკვირვების მუშა მექანიზმი. არსებული ერთწლიანი გეგმის მონიტორინგის შედეგები ადასტურებს, რომ ადმინისტრაცია და კათედრები მუდმივად აკონტროლებენ კურიკულუმების შესრულების დინამიკას და ზრუნავენ ხარისხის შენარჩუნებაზე. რჩევა • სასურველია, პროექტული სწავლების ეს საუკეთესო პრაქტიკა კიდევ უფრო მჭიდროდ აისახოს საგნობრივ კურიკულუმებში (თემატურ მატრიცებში), რათა პროექტები აღქმული იყოს არა როგორც დამატებითი ღონისძიებები, არამედ როგორც სამიზნე ცნებების დამუშავების ძირითადი გზა.

	▯ მიზანშეწონილია, მონიტორინგის შედეგად გამოკვეთილი ტენდენციები (ძლიერი და სუსტი მხარეები) დეტალურად იქნას განხილული კათედრის სხდომებზე, რათა მომდევნო სასწავლო წლის დაგეგმვა კიდევ უფრო მეტად დაეფუძნოს ამ გამოცდილებას.

საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრას სამივე საფეხურის შემთხვევაში წარმოდგენილი აქვს საგნობრივი კურიკულუმები და დაგეგმილი აქვს სასწავლო პროცესი აღნიშნული კურიკულუმების შესაბამისად. როგორც პედაგოგებთან ინტერვიუს დრო გამოჩნდა, კათედრამ მიმდინარე სასწავლო წელს მცირე ცვლილებებით განახორციელა კურიკულუმით დაგეგმილ შუალედურ მიზნებზე მუშაობა. რჩევა: სასურველია დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრამ 2026-2027 წლის სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და საგნობრივი კურიკულუმების შემუშავების დროს გაითვალისწინოს მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება და ყოველწლიურად შეიმუშავოს კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია და ასახოს სავალდებულო თემების სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესება შემდეგი მიმართულებით: სავალდებულო თემის ფარგლებში ძირითადი საკითხების გამოკვეთა/ძირითადი საკითხების სხვაგვარად გადაჯგუფება; ცხოვრებისეულ კონტექსტებთან დაკავშირებული დავალებების პირობის ადაპტირება, შემოქმედებითი პროდუქტის ცვლილება; შეფასების კრიტერიუმების დახვეწა და მათთან დაკავშირებული შეკითხვების ფორმულირების შეცვლა/განსხვავებულად დაჯგუფება; აქტივობებისა და დამატებითი რესურსების ჩანიშვნა, ასახვა, რომლებზე დაყრდნობითაც ეფექტურად მოხერხდა სამიზნე ცოდნის კონსტრუირება.
უცხოური ენები	პედაგოგებმა დაადასტურეს, რომ კურიკულუმში აღინშნული რესურსების და კიდევ სხვა მასში არ ასახული ციფრული თუ თავად შექმნილი რესურსების გამოყენებით, ახორციელებენ კურიკულუმში გაწერილ კომპლექსურ დავალებას, რომელიც თავისთავად მიმართულია

	კონკრეტული სამიზნე ცნებისა და ქვეცნებების შესაბამისად. აქტიურად იყენებენ დოკუმენტში მითითებულ გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოს. პედაგოგებს, მიეცათ რჩევის სახით, რომ დააკონკრეტონ სამიზნე ცნებები ქვეცნებებით და დააზუსტონ დავალების პირობები, რომელსაც ჰქონდა ზოგადი ან აღწერილობითი ხასიათი.
ესთეტიკური აღზრდა	მუსიკა: კურიკულუმის ფარგლებში გაწერილია თემებზე ადაპტირებული კომპლექსური დავალებები, რომლებიც რეალურად განხორციელდა. წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მასში დაცული მოსწავლეთა შემოქმედებითი პროდუქტები ამის ნათელი დასტურია. ხელოვნება: კურიკულუმი ითვალისწინებს კომპლექსური ხასიათის დავალებებს, რომელთა შესრულებაც საგაკვეთილო პროცესში რეალიზებულია.
სახელმწიფო ენა	დაგეგმილ კურიკულუმებში ჩანს, რომ იგი ორიენტირებულია, საინტერესო გახადოს სასწავლო პროცესი მოსწავლისთვის, რათა მან საუკეთესოდ შეძლოს საკუთარი თავის წარმოჩენა და იზრუნოს თავის გონებრივ თუ პიროვნულ განვითარებაზე. დაგეგმილი შემოქმედებითი ბუნების დავალებები და პროექტები, ასევე სკოლაში არსებული წრეები(რომლებზედაც ვიზიტის დროს ისაუბრეს პედაგოგებმა და ვიზიტის შემდგომ გამოგზავნილ დოკუმენტაციაშიც ასახეს) სწორედ ამ მიზანს ემსახურება. სკოლა საჭიროების შემთხვევაში მიმართავს რემედიაციას, ასევე ქმნის ინდივიდუალურ სამოქმედო გეგმებს სსსმ მოსწავლეებისთვის.
მათემატიკა	სკოლამ წარმოადგინა მათემატიკის საგნობრივი კურიკულუმები I–XII კლასებისთვის, რომლებიც მოიცავს სამივე საფეხურს — დაწყებითს, საბაზოსა და საშუალოს. კურიკულუმები შედგენილია სასწავლო წლის შესაბამისად და მოიცავს თემებს, საკითხებს, კონტექსტმაგალითებსა და სასწავლო რესურსებს, რაც მიუთითებს სასწავლო პროცესის წინასწარ დაგეგმვაზე.

სპორტი	სასწავლო პროცესი მიმდინარეობს კურიკულუმის მიხედვით, ინტერვიუს დროს სამივე საფეხურის მასწავლებლებმა ისაუბრეს სპორტის გაკვეთილის შესახებ, ისაუბრეს გაკვეთილის სტურქტურაზე და სასწავლო პროცესზე. მოიყვანეს მაგალითებად როგორც შიდა
	სასკოლო ჩემპიონატების ისე სასკოლო ოლიმპიადებზე მონაწილეობის მაგალითები, სადაც გარკვეული წარმატებაც აქვთ.
ტექნოლოგიები	სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სასწავლო პროცესი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სწავლა-სწავლების პრინციპებს ეფუძნება, რასაც ადასტურებს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია. კურიკულუმი წარმოადგენს არა მხოლოდ დოკუმენტს, არამედ სასწავლო პროცესის მთავარ ორიენტირს.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან დგინდება,რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის მიხედვით: საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილი თემატური ერთეულები და საკითხები შეესაბამება საგნობრივ სტანდარტებსა და მისაღწევ შედეგებს; აქტივობები და რესურსები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკის შესაბამისად;

ინდიკატორია 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია

2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე სკოლაში დანერგილია შემხვედრ საჭიროებებზე რეაგირების ეფექტური მექანიზმი, რაც სასწავლო პროცესის დინამიურობასა და მოქნილობას უზრუნველყოფს. სასწავლო წლის განმავლობაში გამოკვეთილი აკადემიური თუ სოციალური გამოწვევების საპასუხოდ, დაწესებულება ახორციელებს კურიკულუმის ოპერატიულ ადაპტირებას, დამატებითი სასწავლო რესურსების მობილიზებასა და საჭიროების შემთხვევაში, სწავლების მეთოდოლოგიის მოდიფიცირებას. რეაგირების პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა მიღწევების მიმდინარე ანალიზსა და სასკოლო საზოგადოებისგან მიღებულ უკუკავშირს, რაც საშუალებას აძლევს სკოლას, დროულად აღმოფხვრას სასწავლო ბარიერები და შექმნას თითოეული მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული გარემო.

ინდიკატორია 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია

3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სსიპ - ჯემალ არძენაძის სახელობის სოფელ ჩაქვის №2 საჯარო სკოლაში ჩამოყალიბებულია შეფასების სისტემა ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებს და ორიენტირებულია მოსწავლის აკადემიური წინსვლის ობიექტურ ასახვაზე. სკოლის მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტები (განმავითარებელი და განმსაზღვრელი რუბრიკები), განსაკუთრებით საბაზო და საშუალო საფეხურებზე, ასევე დაწყებითი საფეხურის მე-3 და მე-6 კლასებში, მეთოდოლოგიურად სწორად არის სტრუქტურირებული. ეს უზრუნველყოფს შეფასების სანდოობასა და ვალიდურობას. პედაგოგების მიერ მომზადებული რუბრიკები იძლევა მოსწავლის მიღწევების დეტალური აღწერისა და კონსტრუქტივისტული რეკომენდაციების გაცემის შესაძლებლობას. შეფასების კრიტერიუმების წინასწარი ცოდნა და ხარისხიანი უკუკავშირი პროცესს ხდის გამჭვირვალესა და სამართლიანს მოსწავლეებისა და მშობლებისთვის. პროექტული სწავლების (მაგ. „გარემოზე თანადგომით ვქმნით მომავალს“) ფარგლებში მომზადებული რეფლექსიები და შეფასების დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ სკოლა იყენებს მრავალფეროვან ინსტრუმენტებს მოსწავლის ცოდნისა და უნარების ობიექტურად შესაფასებლად. რჩევა სისტემის კიდევ უფრო მეტი ვალიდურობისა და მესამე თაობის ესგ-სთან სრული სინქრონიზაციისთვის, სასურველია: • დაწყებითი საფეხურის ზოგიერთ კლასში (I, II, V) შეფასების რუბრიკები კიდევ უფრო მჭიდროდ დაუკავშირდეს სამიზნე ცნებებსა და შედეგების მიღწევის ინდიკატორებს, რაც სისტემას უფრო სტანდარტიზებულს გახდის. • მიზანშეწონილია რუბრიკების პერიოდული გადახედვა კურიკულუმში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, რათა შენარჩუნდეს მაღალი თანხვედრა დასახულ მიზნებსა და მიღწეულ შედეგებს შორის.

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების ნიმუშებიდან შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ თუ სკოლა აღნიშნულ რუბრიკებს პრაქტიკაში აქტიურად გამოიყენებს შეფასების სისტემა იქნება ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი; ვინაიდან, განმსაზღვრელი შეფასების ნიმუშის რუბრიკა ეყრდნობა სტანდარტში მოცემულ თითოეული თემის ფარგლებში დასამუშავებელ შედეგების მიღწევის ინდიკატორებს, ხოლო

	განმავითარებელი შეფასება ორიენტირებულია თემის ფარგლებში დასამუშავებელ გრძელვადიან მიზნებზე.
უცხოური ენები	წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებზე (განმსაზღვრელი, განმავითარებელი) და პედაგოგების მიერ აღნიშნული ფაქტებზე დაყრდნობით, რომ ისინი წინასწარ აცნობენ მოსწავლეებს შეფასების კრიტერიუმებს დაგანიხილავენ მათთან ერთად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აჩენს მოსწავლეებში ნდობის და გამჭვირვალეობის განცდას. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები შეიძლება უფრო დაკონკრეტდეს კათედრაზე, რისი რესურსის ნამდვილად არსებობს.

ესთეტიკური აღზრდა	მუსიკა მუსიკის კათედრაზე დანერგილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების სისტემა, რომელიც სწავლა-სწავლების პროცესის განუყოფელი ნაწილია და გაზიარებულია სკოლის საზოგადოებასთან. შეფასება ეფუძნება ობიექტურობის პრინციპს, რაც უზრუნველყოფს მის სანდოობასა და ვალიდურობას. გამოიყენება როგორც მიმდინარე, ისე შემაჯამებელი ფორმები; დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ პედაგოგები აქტიურად იყენებენ შესაბამის ინსტრუმენტებსა და რუბრიკებს და მზად არიან მათი შემდგომი დახვეწისთვის. ხელოვნება ხელოვნების კათედრაზე ფუნქციონირებს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების სისტემა, რომელიც ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და ეფუძნება ობიექტურობის პრინციპს. საგანში გამოიყენება ორივე ტიპის შეფასება, ხოლო წარმოდგენილი მასალები აჩვენებს, რომ პედაგოგები ეფექტიანად იყენებენ მრავალფეროვან ინსტრუმენტებს და განაგრძობენ შეფასების კრიტერიუმების გაუმჯობესებას.
სახელმწიფო ენა	კათედრაზე იყენებენ განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებებს, ასევე მიმართავს თვითშეფასებასაც, რაც მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებას ემსახურება. შექმნილი აქვთ შეფასების რუბრიკები, რომლებსაც იცნობს მოსწავლე, ანუ მან წინასწარ იცის, რას და როგორ შეუფასებენ.

მათემატიკა	წარმოდგენილი შეფასების რუბრიკა სტრუქტურულად სრულად პასუხობს შეფასების ძირითად პრინციპებს. მასში არის განსაზღვრული კრიტერიუმები განმავითარებელი შეფასების, საშინაო დავალებებისა და დამოუკიდებელი მუშაობისთვის. შეფასების დონეების დიფერენცირება (მაღალი/საშუალო/დაბალი; კარგად/ნაწილობრივ/საჭიროებს დახმარებას) პროცესს შედარებით გამჭვირვალესა და გასაგებს ხდის. გარდა ამისა, მოსწავლის თვითშეფასების ბარათის გამოყენება (დანართი 2) მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სასწავლო პროცესის ობიექტურობასა და მოსწავლეთა ჩართულობის ზრდას. მიუხედავად ამისა, წარმოდგენილი მასალა მხოლოდ ერთ კონკრეტულ კლასს მოიცავს, რაც არ იძლევა სასკოლო შეფასების ერთიანი სისტემის სრულფასოვანი ანალიზის საშუალებას. აღსანიშნავია, რომ IX–XII კლასებისთვის შეფასების ანალოგიური დოკუმენტაცია წარმოდგენილი არ ყოფილა.
სპორტი	შეფასების სისტემა ძალიან მნიშვნელოვანია იყოს ობიექტური და სამართლიანი. მასწავლებელები წინასწარ აცნობენ შემაჯამებელი დავალების შეფასების სისტემას, რაც ყველასთვის წინასწარ ცნობილია და ხელმისაწვდომი. მასწავლებლები ახორციელებენ გამჭირვალედ და სამართლიანად მოსწავლეების შეფასებას, რათა მივიღოთ ის რეალური სურათი და მდგომარეობა, გამოვიყენოთ სამომავლოდ როგორც წინარე ცოდნა. მსგავსი ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი შეფასება არის მნიშვნელოვანი ფაქტორი, ეს ყველაფერი ინტერვიუში აღნიშნა მასწავლებელმა და ხაზი გაუსვა მის მნიშვნელობას ბავშვის განვითარებისთვის.

ტექნოლოგიები	შეფასების პროცესის გამჭვირვალობა უზრუნველყოფილია მოსწავლეთათვის კრიტერიუმების, მიზნებისა და მოსალოდნელი შედეგების წინასწარი გაცნობით. აღნიშნული პრაქტიკა ზრდის მოსწავლეთა ჩართულობას და სამართლიანი გარემოს ჩამოყალიბების გარანტიაა. შეფასება ხორციელდება ინდივიდუალური მიდგომით, თითოეული მოსწავლის უნარებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ასახავს შეფასების მექანიზმების რეალიზებასა და რუბრიკების პრაქტიკული გამოყენების ნიმუშებს.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი და აღწერილი აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი; მასწავლებლებთან ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ გაკვეთილზე განხორციელებული ცალკეული აქტივობები შესაბამისი კრიტერიუმით ფასდება, რომელებზეც მოსწავლეები წინასწარ არიან ინფორმირებულნი. აქედან გამომდინარე დგინდება ,რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური,გამჭვირვალე,სანდო და ობიექტური.

ინდიკატორია 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლაში შემუშავებულია და დოკუმენტურად განსაზღვრულია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც მიზნად ისახავს მოსწავლეთა შეფასების ვალიდურობის, ობიექტურობისა და სანდოობის უზრუნველყოფას. დოკუმენტაცია აღწერს შეფასების ინსტრუმენტების გადამოწმებისა და შედეგების ანალიზის პროცედურებს. სკოლა ცდილობს ყოველდღიურ სასკოლო პრაქტიკაში დანერგოს აღნიშნული მექანიზმი. რომლის დასტურადაც სკოლამ წარმოადგინა სხვადასხვა საგნის შემაჯამებელი დავალებაზე განხორციელებულ განმსაზღვრელ შეფასებას. სკოლას აქვს მზაობა დღოთა განმავლობაშ სრულყოფილად დანერგოს და განავითაროს ვერიფიკაციის პროცესი.

ინდიკატორია 2.2.1.4 შესაბამისობაშია

5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

სკოლაში ჩამოყალიბებულია შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის (მონაცემები, ინფორმაცია, მტკიცებულებები) აღრიცხვისა და არქივირების მოწესრიგებული სისტემა. დაწესებულება უზრუნველყოფს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების ამსახველი მასალების, მათ შორის შემოქმედებითი დავალებების, შეფასების რუბრიკებისა და სხვა მტკიცებულებების შენახვას კანონმდებლობითა და შიდა რეგულაციებით დადგენილი ვადით (არანაკლებ 3 წელი).

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დანართი N29; სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026 წ.წ.
- დანართი N10 შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა
- საქაღალდე -სტანდარტი II; საგნობრივი კურიკულუმები
- დანართი N17 ინტეგრირებული პროექტი,,გარემოზე თანადგომით ვქმნით მომავალს“
- საქაღალდე : დამატებითი დოკუმენტაცია ჩაქვის N2 საჯარო
- საქაღალდე: ვიზიტის შემდეგ გამოგზავნილი
- რემედიაცია (გეგმა, ანგარიში);
- დანართი N19 -ერთწლიანი სასწავლო გეგმის (2024-2025) მონიტორინგის შედეგები დანართი N9-დიაგნოსტიკური ტესტები ფიზიკაში დანარტი N13, N18.

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით
ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სსიპ - ჯემალ არძენაძის სახელობის სოფელ ჩაქვის №2 საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო რესურსებით, რაც ქმნის მყარ საფუძველს მოსწავლეთა მიერ სწავლის შედეგების მისაღწევად. რესურსების მართვა და გამოყენება ხასიათდება შემდეგიმიდგომებით: სკოლა იყენებს როგორც ძირითად (გრიფირებული სახელმძღვანელოები), ისე დამხმარე რესურსებს. დაწყებით საფეხურზე (I-VI კლ.) სწავლება გამდიდრებულია თვალსაჩინოებებითა და შემოქმედებითი მასალებით, რაც ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას. საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისას სკოლა ავლენს მეთოდოლოგიურ მზაობას. მიუხედავად, ლაბორატორიის არ არსებობისა მწირი ,უსაფრთხო მასალებითა და რეაქტივებით იყენებენ მიკროქიმიური მეთოდს პრაქტიკული სამუშაოების

	ჩასატარებლად.სასწავლო პროცესში გამოიყენება ციფრული რესურსები, რაც ეხმარება მოსწავლეებს რთული მოვლენების ვიზუალიზაციაში.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ პედაგოგები ძირითად სასწავლო რესურს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, მოსწავლის რვეულებსა და კურიკულუმით განსაზღვრულ დამხმარე სასწავლო რესურსებს.
უცხოური ენები	სკოლამ ძირითად რესუსრსად აირჩია გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო და ერთი ციფრული არხი, იუთუბი, რომელიც მიუთითა კურიკულუმებში. კათედრის სხდომისას, პედაგოგებმა მე-5 პუნქტად დაამტკიცეს რესურსების საკითხი და შეთანხმდნენ, რომ გამოეყენებინათ მრავალფეროვანი ციფრული თუ მატერიალური რესურსები, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ საკითხის სიღრმისეულ შესწავლას. სკოლას მიეჩა რჩევა, რომ გაამრავალფეროვნოს დამატებითი რესურსების გამოყენების არეალი.

ესთეტიკური აღზრდა	მუსიკა მუსიკის კათედრაზე მოქმედებს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების სისტემა, რომელიც სწავლა-სწავლების პროცესის განუყოფელი ნაწილია და გაზიარებულია სკოლის საზოგადოებასთან. შეფასება ეფუძნება ობიექტურობის პრინციპს, რაც უზრუნველყოფს მის სანდოობასა და ვალიდურობას. გამოიყენება როგორც მიმდინარე, ისე შემაჯამებელი ფორმები; დოკუმენტაცია აჩვენებს, რომ პედაგოგები ეფექტიანად იყენებენ შესაბამის ინსტრუმენტებსა და რუბრიკებს და მუშაობენ მათი დახვეწის მიმართულებით. ხელოვნება ხელოვნების კათედრაზე დანერგილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების სისტემა, რომელიც ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში. შეფასება ეფუძნება ობიექტურობას და უზრუნველყოფს შედეგების სანდოობას. გამოიყენება ორივე ტიპის შეფასება, ხოლო წარმოდგენილი მასალები ადასტურებს, რომ პედაგოგები აქტიურად იყენებენ მრავალფეროვან ინსტრუმენტებს და განაგრძობენ შეფასების პრაქტიკის გაუმჯობესებას.

სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესში კათედრა იყენებს გრიფირებულ და დამატებით სახელმძღვანელოებს, სქემებს, პლაკატებს, ილუსტარციებს, ელექტრონულ რესურსებს, რაც ასახულია კურიკულუმებში.

მათემატიკა	კურიკულუმებში მითითებულია ძირითადი და დამხმარე რესურსები სტანდარტულად, — სახელმძღვანელოები, GeoGebra, Desmos და Khan Academy. ზოგიერთგან რესურსების ჩამონათვალი ზოგადია (როგორც ზემოთ აღნიშნა ექსპერტმა), თუმცა გასაუბრებისას პედაგოგებმა მოიყვანეს რამდენიმე მაგალითი, თუ როგორ იყენებენ კონკრეტულ რესურსს კონკრეტული აქტივობის განხორციელებისას (მაგ.GeoGebra-ს და Desmos-ს გრაფიკების ასაგებად და ა.შ.)კურიკულუმებში მითითებულია ძირითადი და დამხმარე რესურსები სტანდარტულად, — სახელმძღვანელოები, GeoGebra, Desmos და Khan Academy. ზოგიერთგან რესურსების ჩამონათვალი ზოგადია (როგორც ზემოთ აღნიშნა ექსპერტმა), თუმცა გასაუბრებისას პედაგოგებმა მოიყვანეს რამდენიმე მაგალითი, თუ როგორ იყენებენ კონკრეტულ რესურსს კონკრეტული აქტივობის განხორციელებისას (მაგ.GeoGebra-ს და Desmos-ს გრაფიკების ასაგებად და ა.შ.)
სპორტი	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში,სამივე საფეხურზე მასწავლებლები აქტიურად იყენებენ სხვადასხვა სპორტულ ინვენტარს და დამხმარე რესურს კურიკულუმში გაწერილი თემების და დავალებების შესასრულებლად. კერძოდ სხვადსხვა სპორტს თავისი სპეციფიკური რესურსი ჭირდება, სკოლა კი ამ ყველაფერს უზრუნველყოფს და იყენებს სასწავლო პროცესში.
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგანში - კომპიუტერული ტექნოლოგიები, წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო (II-VI კლასები) მოიცავს მრავალფეროვან სასწავლო რესურსს. აღნიშნული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიერ კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების ეფექტიან მიღწევას.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლას ძირითად სასწავლო რესურსად განსაზღვრული აქვს გრიფირებული სახელმძღვანელოები. ინტერვიუსას გამოიკვეთა რომ იყენებენ სხვადასხვა რესურსებს.

	რჩევა - სასურველია დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში სრულად შეიტანონ ის სასწავლო რესურსები, რასაც იყენებენ, მაგალითად საჭირო მატერიალური რესურსები; ელ.ბმულები.

ინდიკატორია 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია

2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და კათედრასთან ინტერვიუს საფუძველზე დასტურდება, რომ სკოლაში ჩამოყალიბებულია დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევისა და მათი ეფექტურობის შემოწმების (ვალიდაციის) სისტემური მიდგომა. აღნიშნული პროცესი ხასიათდება შემდეგი მახასიათებლებით: სკოლა ახორციელებს რესურსების ვალიდაციას რემედიაციის პროცესის მეშვეობით. წარმოდგენილი მათემატიკის დიაგნოსტიკური წერის რემედიაციის რეფლექსია ადასტურებს, რომ სკოლა აანალიზებს გამოყენებული დამხმარე მასალების გავლენას სწავლის შედეგების გაუმჯობესებაზე. რესურსი, რომელიც ეხმარება მოსწავლეს ხარვეზის აღმოფხვრაში, მიიჩნევა ვალიდურად და მკვიდრდება სასწავლო პრაქტიკაში. სკოლას შემუშავებული აქვს რემედიაციის პროგრამა, რაც მეთოდოლოგიურ ჩარჩოს ქმნის დამხმარე რესურსების მიზნობრივი შერჩევისთვის. ეს მექანიზმი უზრუნველყოფს, რომ სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალა (ციფრული სიმულაციები, დამატებითი სავარჯიშოები) იყოს ვალიდური და ასაკობრივად რელევანტური. ფიზიკაში ჩატარებული სადიაგნოსტიკო წერები ქმნის საფუძველს რესურსების შემდგომი ვალიდაციისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ფიზიკის ნაწილში რემედიაციის დოკუმენტირებული რეფლექსია ამ ეტაპზე არ იკვეთება, სკოლაში არსებული მათემატიკის პრეცედენტი მიუთითებს იმაზე, რომ რესურსების ვალიდაციის კულტურა დანერგილია. რჩევა

	• სასურველია, მათემატიკაში არსებული რემედიაციის რეფლექსიის წარმატებული პრაქტიკა სრულად განივრცოს საბუნებისმეტყველო საგნებზეც (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია). მიზანშეწონილია, ფიზიკის სადიაგნოსტიკო წერების შემდგომი რემედიაციული აქტივობები და გამოყენებული რესურსების ანალიზი ოფიციალურად აისახოს კათედრის ოქმებში. • კარგი იქნება, თუ კურიკულუმის რესურსების სვეტში მონიშნული იქნება ის დამხმარე მასალები, რომლებმაც წარმატებით გაიარეს „ვალიდაცია“ რემედიაციის პროცესში, რაც გაამარტივებს მათ გამოყენებას სხვა პედაგოგებისთვისაც.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასკოლო კურიკულუმში წარმოდგენილი დამხმარე სასწავლო რესურსები ძირითად შემთხვევაში შესაბამისია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა ყოველწლიურად ახორციელებს დამხმარე რესურსების შერჩევას მოსწავლეთა ინტერესებისა და ინდივიდუალური საჭიროებების მიხედვით, რაც დასტურდება კათედრის ოქმებით, ყოველივე ეს კი უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხის ამაღლებასა და მიზანმიმართულობას.
უცხოური ენები	უცხოური ენის კათედრის ოქმში წარმოდგენილია, კათედრის ხელმძღვანელის ჩანაწერი გარდა გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოსა, დაამტკიცონ და გამოიყენონ დამატებითი რესურსები, რათა გაამრავალფეროვნონ სასწავლო პროცესი. შესაბამისად, სკოლა კათედრების საშუალებით ახდენს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას. გარდა ამისა, სკოლას აქვს ჩეკლისტი, რომელსაც ეწოდება სკოლის კურიკულუმის ჩეკლისტი. სადაც ერთ-ერთ კითხვად სვამს კითხვას რესურსების შესახებ, რამდენად სწორად იყო ისინი შერჩეული სასწავლო პროცესში. სკოლამ ის მონიშნა როგორც - „სრულად“ რომელიც ასევე ვალიდაციას ახდენს რესურსებისა.

ესთეტიკური აღზრდა	მუსიკა

	გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა შესაძლებლობის ფარგლებში უზრუნველყოფს სასწავლო რესურსების შერჩევასა და ვალიდაციას, რათა დაცული იყოს მოსწავლეთა ინტერესები და უსაფრთხოება და მათ არ მიეწოდოთ გადაუმოწმებელი ან მცდარი ინფორმაცია. პედაგოგების განმარტებით, გამოყენებული მასალა უნდა შეესაბამებოდეს თემატიკას, მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებსა და მოქმედ პროგრამას, რაც უზრუნველყოფს სწავლების პროცესის ხარისხსა და მიზნობრიობას. ხელოვნება ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლა ზრუნავს სასწავლო რესურსების გადამოწმებასა და შესაბამისობაზე. აღნიშნული პროცესი ემსახურება მოსწავლეთა ინტერესებისა და უსაფრთხოების დაცვას. პედაგოგებმა ხაზი გაუსვეს, რომ რესურსი უნდა იყოს თემატურად რელევანტური, ასაკობრივად ადეკვატური და თანხვედრაში მოდიოდეს სასწავლო გეგმასთან, რაც სწავლების ეფექტიანობას უზრუნველყოფს.
სახელმწიფო ენა	კათედრა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში რესურსების გამოყენებას ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. სსსმ მოსწავლეები უზრუნველყოფილი არიან შესაბამისი განმავითარებელი მასალებით.

მათემატიკა	კურიკულუმებში ასახული ციფრული რესურსები (Khan Academy, ტელესკოლა, GeoGebra, YouTube) წარმოადგენს ცნობილ, ფართოდ გამოყენებულ და სანდო საგანმანათლებლო პლატფორმებს, რომელთა ვალიდურობა ზოგადად დადგენილია. სახელმძღვანელოები ეროვნულად გრიფირებულია. თუმცა დოკუმენტური მტკიცებულება რესურსების შერჩევის პროცესის შესახებ - მაგ. რომ ეს განხილულ იქნა კათედრაზე ან პედაგოგიურ საბჭოზე - არ წარმოუდგენიათ.
სპორტი	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის და მასწავლებელთან ინტერვიუს საფუძველზე, ჩანს რომ სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწavლო რესურსის ვალიდაციას.
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმის ჩარჩოში (II-VI კლასები) წარმოდგენილი სასწავლო რესურსები ვალიდურია, რადგან ისინი სრულად შეესაბამება სასწავლო მიზნებს, საგნობრივ სტანდარტებსა და მოსწავლეთა საჭიროებებს.
	აღსანიშნავია, რომ აღნიშნული რესურსები განხილული და დამტკიცებულია საგნობრივი კათედრის მიერ.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მასწავლებლებთან ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევის საკითხის განხილვა ხორციელდება კათედრის შეხვედრებზე. გამოიყენება ის მასალები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს, ასაკობრივ თავისებურებებსა და სწავლების მიზნებს.

ინდიკატორია 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სსიპ - ჯემალ არძენაძის სახელობის სოფელ ჩაქვის №2 საჯარო სკოლა სასწავლო პროცესს წარმართავს მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის დაცვით. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა ხასიათდება შემდეგი მდგომარეობით: სკოლას გააჩნია მცირე რაოდენობის ლაბორატორიული ინვენტარი (სინჯარები) და რამდენიმე უსაფრთხო რეაქტივები. პედაგოგები ამ მინიმალური რესურსის ფარგლებში ცდილობენ საბაზისო მოვლენების დემონსტრირებას, რაც გარკვეულწილად ეხმარება მოსწავლეებს თეორიული მასალის აღქმაში. ფიზიკური ლაბორატორიული სივრცისა და აღჭურვილობის ნაკლებობის პირობებში, სკოლა აქტიურად ეყრდნობა ვირტუალურ სიმულაციებსა და ციფრულ რესურსებს, რაც ამ ეტაპზე სწავლების ძირითად დამხმარე საშუალებას წარმოადგენს. გამოკვეთილი ხარვეზები: მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ანალიზისას იკვეთება არსებითი შეუსაბამობები ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან:

	• სკოლას დოკუმენტურად არ აქვს შემუშავებული ლაბორატორიაში ქცევის წესები და დებულება, რაც აუცილებელია პრაქტიკული სამუშაოების ორგანიზებული და უსაფრთხო წარმართვისთვის. • სკოლას არ გააჩნია ლაბორატორიული სივრცე, ხოლო არსებული უმნიშვნელო ინვენტარი (რამდენიმე სინჯარა) საბაზო და საშუალო საფეხურზე არ არის საკმარისი ესგ-ით განსაზღვრული სავალდებულო კვლევითი და პრაქტიკული სამუშაოების სრულყოფილად განსახორციელებლად. აღნიშნული ზღუდავს მოსწავლეთა შესაძლებლობას, დამოუკიდებლად განივითარონ კვლევითი უნარ-ჩვევები. შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (15.12.2025-15.12.2026) სკოლამ უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა რჩევა: • უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია შემუშავდეს და დამტკიცდეს ლაბორატორიაში ქცევის წესები და უსაფრთხოების დებულება, მიუხედავად იმისა, რომ სკოლას მცირე ინვენტარი აქვს. ეს განსაზღვრავს პასუხისმგებლობებსა და მუშაობის სტანდარტს. • მიზანშეწონილია სკოლამ შეიმუშაოს მინიმალური ლაბორატორიული აღჭურვილობის შეძენის გეგმა. პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს იმ ხელსაწყოებსა და რეაქტივებს, რომლებიც საჭიროა ესგ-ის სავალდებულო ექსპერიმენტებისთვის. • სასურველია კურიკულუმში ოფიციალურად აისახოს მიკროქიმიური მეთოდის გამოყენება, რაც მცირე რესურსის პირობებშიც კი გახდის პრაქტიკულ კომპონენტს უფრო სისტემურს და უსაფრთხოს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა უზრუნველყოფს საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას შესაბამისი მატერიალური რესურსებითა და მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით. სკოლა აღჭურვილია კომპიუტერების ოთახით, პროექტორებით, სასწავლო რუკებით... რაც ხელს უწყობს სწავლების ეფექტიანობასა და მოსწავლეთა ჩართულობას სასწავლო პროცესში.

უცხოური ენები	სკოლამ სასკოლო სასწავლო გეგმაში განაცხადა, რომ სკოლას საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აქვს შესაბამისი მატერიალური რესურსი და საჭირო ინფრასტრუქტურა. ასევე შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, რომლითაც განსაზღვრულია სკოლის მოსწავლეების, მასწავლებლების და სხვა თანამშრომლების მიერ სკოლის სხვადასხვა რესურსით სარგებლობის პირობები. სკოლას აქვს საჭირო რაოდენობის მერხები, სკამები, კომპიუტერული ტექნიკა, წიგნადი ფონდი და სხვა რესურსები. შენობაში განთავსებულია საკლასო ოთახები, სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი სივრცეები, როგორიცაა ადმინისტრაციის სამუშაო ოთახები, სპორტული დარბაზი, სამედიცინო კაბინეტი, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, სააქტო დარბაზი და საბუნებისმეტყველო ლაბორატორია. სკოლას აქვს ეზო, სადაც განთავსებულია ღია სპორტული მოედანი. სკოლის შენობა ადაპტირებულია შშმ პირებისათვის და უზრუნველყოფილია ინკლუზიური გარემო. სკოლის ბიბლიოთეკაში დაცულია 7850 ეგზემპლარი, სადაც მოცემულია მოსწავლეთა ასაკის შესაბამისი ლიტერატურა, სახელმძღვანელოები და პერიოდული გამოცემები. ასევე, კომპიუტერში ჩატვირთულია საინფორმაციო რესურსები

ესთეტიკური აღზრდა	მუსიკა წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ჩატარებული ინტერვიუების ანალიზი მიუთითებს, რომ სასწავლო პროცესის ეფექტიან განხორციელებას მუსიკის მიმართულებით ხელს უწყობს შესაბამისი ტექნიკური და მატერიალური რესურსები. არსებული ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგაკვეთილო პროცესის ორგანიზებულ და ხარისხიან წარმართვას, საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით. ხელოვნება დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე იკვეთება, რომ ხელოვნების საგანში სწავლების ეფექტიანობას უზრუნველყოფს შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

	არსებული ინფრასტრუქტურა ქმნის პირობებს, რათა სასწავლო პროცესი წარიმართოს მოწესრიგებულად, ხარისხიანად და საგნობრივი თავისებურებების შესაბამისად
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე ყველა მოსწავლისათვის ხელმისაწვდომია შესაბამისი რესურსები, იქნება ეს სახელმძღვანელოები, დამატებითი საკითახავი თუ ციფრული მასალა. ამდენად, სასწავლო პროცესის განსახორციელებლად მოსწავლეები უზრუნველყოფილნი არიან შესაბამისი რესურსებით.
მათემატიკა	ზოგიერთ კურიკულუმში და კომპლექსური დავალების ბარათებში ჩანს, რომ ზოგი აქტივობა ითხოვს გარკვეული მასალების ან ტექნიკის გამოყენებას (მაგალითად, საზომი სახაზავი, დაფა, კომპიუტერი). პედაგოგების თქმით, სკოლის მხრიდან ამ ნივთების მიწოდება უზრუნველყოფლია და იყენებენ კიდეც.

სპორტი	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. მასწავლებლები ითვალისწინებენ ბავშვების ზღვრულ რაოდენობას გაკვეთილის პროცესის დროს დარბაზში თუ გარე მოედანზე, რათა ეფექტური იყოს გაკვეთილი. გამოყენებული მატერიალური რესურსი სრულად შეესაბამება იმ მოთხოვნებს რაც მოცემულია კურიკულიმში.
ტექნოლოგიები	სკოლის კომპიუტერული ლაბორატორია სრულად განახლებულია და აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით. კომპიუტერების რაოდენობა სრულ შესაბამისობაშია კლასებში მოსწავლეთა რაოდენობასთან, რაც საგაკვეთილო პროცესის შეუფერხებლად და სრულფასოვნად წარმართვის შესაძლებლობას იძლევა.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სწავლის შედეგების მიღწევისთვის მნიშვნელოვანია მატერიალური რესურსები, კურიკულუმებში ჩანს, რომ აქტიურად იყენებენ ელ. რესურსებს, პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვა და კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია
	შესაბამისი მატერიალური რესურსებითა და მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისი კლასის ინფრასტრუქტურით. რჩევა: სასურველია სკოლამ კიდევ უფრო მეტად ასახოს იმ მრავალფეროვან რესურსთა ჩამონათვალი, რომლებსაც იყენებენ სასწავლო პროცესში (რაც დაადასტურეს ინტერვიუს დრო).

ინდიკატორია 2.2.2.3 მეტწილ შესაბამისობაშია

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

სკოლა უზრუნველყოფილია კვალიფიციური ადამიანური რესურსით, რომელთა პროფესიული მომზადება სრულად შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობითა და ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილ მოთხოვნებს. მასწავლებელთა პერსონალური საქაღალდეებისა და საათობრივი დატვირთვის ანალიზი ადასტურებს, რომ საგნობრივი კურიკულუმების იმპლემენტაციას ახორციელებენ შესაბამისი სტატუსისა და კომპეტენციის მქონე სპეციალისტები. სკოლაში არსებული ადამიანური რესურსი რაოდენობრივად და თვისობრივად პასუხობს სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გამოწვევებს, რაც ქმნის მყარ საფუძველს სწავლასწავლების პროცესის ეფექტური წარმართვისა და თითოეული საგნობრივი ჯგუფის მიზნების რეალიზებისთვის.

ინდიკატორია 2.2.2.4 დაკმაყოფილებულია დასტურდება
(მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების
მტკიცებულებები.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების
მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026 წ.წ.
- სკოლის თვითშეფასების კითხვარი;
- შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა
- საგნობრივი კურიკულუმები
- ინტეგრირებული პროექტები
- საქაღალდე : დამატებითი დოკუმენტაცია ჩაქვის N2 საჯარო სკოლა
- საქაღალდე: ვიზიტის შემდეგ წარმოდგენილი
- რემედიაცია (გეგმა, ანგარიში);

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)
- ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად

სკოლაში სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება წინასწარ შემუშავებული და კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის სრული დაცვით. პროცესი არის სისტემური და მოიცავს დაკვირვების სხვადასხვა ინსტრუმენტს, როგორიცაა საგაკვეთილო პროცესზე დასწრება, შემოქმედებითი დავალებების ხარისხის შემოწმება და თემატური მატრიცების რეალიზების დინამიკის ანალიზი. მეთოდოლოგიის თანმიმდევრული გამოყენება უზრუნველყოფს მონიტორინგის პროცესის გამჭვირვალობასა და ობიექტურობას, რაც საშუალებას აძლევს საგნობრივ კათედრებს, ჰქონდეთ ზუსტი სურათი სასწავლო გეგმის განხორციელების ხარისხის შესახებ.

ინდიკატორია 2.3.1.1 დაკმაყოფილებულია

2. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას

მონიტორინგისა და შეფასების პროცესი ორიენტირებულია არა მხოლოდ ფაქტების კონსტატაციაზე, არამედ იდენტიფიცირებული გამოწვევების გადაჭრის გზების ძიებაზე. დაკვირვების შედეგად გამოკვეთილი ხარვეზები (იქნება ეს აკადემიური ჩამორჩენა თუ მეთოდოლოგიური სირთულეები) ხდება კათედრებისა და დირექციის მსჯელობის საგანი, რის საფუძველზეც იგეგმება კონკრეტული ინტერვენციები. შეფასების შედეგები პირდაპირ აისახება რემედიაციის გეგმებში, სასწავლო რესურსების განახლებასა თუ საგაკვეთილო აქტივობების მოდიფიცირებაში, რაც უზრუნველყოფს პრობლემის დროულ და ეფექტურ აღმოფხვრას.

ინდიკატორია 2.3.1.2 დაკმაყოფილებულია

3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

სკოლაში მონიტორინგის სისტემა ატარებს მხარდამჭერ ხასიათს და მიზნად ისახავს სასკოლო საზოგადოების წევრების პროფესიულ და აკადემიურ დახმარებას. მასწავლებლებისთვის ეს პროცესი გულისხმობს კონსტრუქციული უკუკავშირის მიღებასა და კოლეგიალურ დახმარებას სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, ხოლო მოსწავლეებისთვის - მათი ინდივიდუალური საჭიროებების იდენტიფიცირებასა და წინსვლის ხელშეწყობას. მონიტორინგის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები ქმნის უსაფრთხო და თანამშრომლობით გარემოს, სადაც შეფასება აღქმულია, როგორც განვითარების ინსტრუმენტი და არა როგორც სადამსჯელო მექანიზმი. ინდიკატორია 2.3.1.3 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების
მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს

სასწავლო პროცესის შეფასებისას სკოლა არ შემოიფარგლება მხოლოდ აკადემიური მოსწრების მონაცემებით და ეყრდნობა ინფორმაციის მრავალფეროვან წყაროებს. ანალიზი მოიცავს მასწავლებელთა რეფლექსიებს, მოსწავლეთა თვითშეფასებებს, მშობლებისგან მიღებულ უკუკავშირსა და კათედრის სხდომებზე განხილულ საგნობრივ ანგარიშებს. წყაროების ასეთი მრავალფეროვნება იძლევა საშუალებას, სასწავლო პროცესი დაინახოს სხვადასხვა პერსპექტივიდან, რაც ობიექტურს ხდის დასკვნებს პროგრამის ეფექტურობისა და მოსწავლეთა რეალური პროგრესის შესახებ.

ინდიკატორია 2.3.2.1 დაკმაყოფილებულია

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით

შეფასების პროცესი ითვალისწინებს იმ მრავალმხრივ კონტექსტს, რომელშიც მიმდინარეობს სწავლა-სწავლება. სკოლა აანალიზებს სასწავლო გარემოს, კლასის დინამიკას, სოციალურ-კულტურულ ფაქტორებსა და ინდივიდუალურ საგანმანათლებლო საჭიროებებს. კონტექსტური შეფასება საშუალებას იძლევა, სწავლის შედეგები განხილულ იქნას არა იზოლირებულად, არამედ იმ გარემოებებთან მიმართებით, რომლებიც გავლენას ახდენენ მოსწავლის მოტივაციასა და ჩართულობაზე, რაც ხელს უწყობს უფრო სამართლიანი და ადეკვატური დასკვნების გამოტანას.

ინდიკატორია 2.3.2.2 დაკმაყოფილებულია

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები დოკუმენტების ანალიზის შედეგად და მოსწავლეებთან, მშბლებთან და მასწავლებლებთან ინტერვიუირების პროცესში დადგინდა, რომ მონაცემთა შეგროვების პროცესში სკოლა იყენებს სხვადასხვა მეთოდოლოგიურ ინსტრუმენტებს, რაც უზრუნველყოფს მრავალფეროვანი ინფორმაციის შეგროვებას. გამოყენებულია როგორც რაოდენობრივი (ტესტირების შედეგები, დასწრების

მაჩვენებლები), ისე თვისობრივი მეთოდები (საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება, ინტერვიუები, მოსწავლეთა შემაჯამებლების ანალიზი). თუმცა სკოლა გეგმავს გამოყენებული მეთოდების გამრავალფეროვნებას და ისეთი თვისობრივი მეთოდების გამოყენებას მონაცემთა შეგროვების მიზნით, როგორებიცაა გამოკითხვა, ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფები და ა.შ. ინდიკატორია 2.3.2.3 დაკმაყოფილებულია

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

მოსწავლეებთან, მშბლებთან და მასწავლებლებთან ინტერვიუირების პროცესში დადგინდა, რომ სწავლის პროცესის შეფასებისას გათვალისწინებულია ყველა ის შიდა თუ გარე ფაქტორი, რომელიც ზემოქმედებს საგანმანათლებლო მიზნების მიღწევაზე. ანალიზისას ყურადღება ექცევა ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა სასწავლო რესურსების ადეკვატურობა, მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებები, მოსწავლეთა ფსიქო-ემოციური მდგომარეობა და მშობელთა ჩართულობის ხარისხი. სხვადასხვა ფაქტორის კომპლექსური გათვალისწინება უზრუნველყოფს შეფასების ჰოლისტურ ხასიათს და ეხმარება სკოლას, იდენტიფიცირებული ხარვეზები დაუკავშიროს მათ გამომწვევ რეალურ მიზეზებს. ინდიკატორია 2.3.2.4 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების
მტკიცებულებები.

- შეფასების რუბრიკები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)
- ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი

სასწავლო წლის განმავლობაში განხორციელებული დაკვირვებისა და კათედრების მუშაობის შეჯამების საფუძველზე, სკოლაში ფორმირდება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი. აღნიშნული მოიცავს კონკრეტულ მიგნებებს სწავლების მეთოდოლოგიის, რესურსების ეფექტურობისა და კომპლექსური დავალებების ვალიდურობის შესახებ. სარეკომენდაციო პაკეტი წარმოადგენს ორიენტირს პედაგოგებისთვის, რათა მათ მომავალი სასწავლო წლის დაგეგმარებისას გაითვალისწინონ გამოკვეთილი საჭიროებები, უზრუნველყონ მასწავლებელთა პროფესიული მხარდაჭერა და გააუმჯობესონ სასწავლო პროცესის ხარისხობრივი მაჩვენებლები.

ინდიკატორია 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს

კურიკულუმის ყოველი მომდევნო გადამუშავებული ვერსია წარმოადგენს სასწავლო პროცესის უწყვეტი განვითარების შედეგს, რომელიც პირდაპირ ეფუძნება სკოლის წინარე გამოცდილებას. გადამუშავების პროცესში სრულად არის ინტეგრირებული მონიტორინგისა და შეფასების სისტემური შედეგები, რაც საშუალებას იძლევა, კურიკულუმიდან განიდევნოს ნაკლებეფექტური სტრატეგიები და გაძლიერდეს ის მიდგომები, რომლებმაც საუკეთესო გავლენა მოახდინეს მოსწავლეთა პროგრესზე.

ინდიკატორია 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების
მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- კათედრის ოქმები;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)
- ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა

☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

თარიღი 08.05.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: